# ახალი განათლება

13 - 26 აპრილი 2017

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№14 (768) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge


*გამოკითხვა*

## რას ფიქრობენ უფროსკლასელები

➪ *სკოლის უსახეო ნაცრისფერ ჯედღებს ფერადი, ნათელი ფერებით შევღებავდი და ღამაზი ნახატებით მოვხატავდი.*

➪ *მეც ერთ-ერთი მათგანი ვარ, ვისაც ყოველთვის ეზარება, მაგრამ უყვარს სკოლაში მისვლა.*

➪ *ისევ ყველაზე მეტად რა არ მომწონს? სკოლაში განგვსაზღვრავენ არა პიროვნულად, არამედ ნიშნებით. მე თუ საგანს ვერ ვსწავლობ, ესე იგი ცუდი ვარ – არარაობა.*

➪ *ჩემი აზრით, სკოლა ბავშვს უნდა ამზადებდეს ცხოვრებისთვის და არა გამოცდისთვის.*

➪ *ყველა მოსწავლეს ერთხელ მაინც გაუგია: „ნე მეპასუხები“. რატომ არ უნდა შეგეპასუხო, როცა ერთი პიროვნება მე, მეორე პიროვნებას მესაუბრები, აღოგიჯერია, ჩემგან პასუხს, არგუმენტს არ ელოდე.*

➪ *სასურველია, არ გვინდოდეს წიგნების სკოლაში ტარება, ამით ჩვენს ჯანმრთელობას გავუფრთხილდებით.*

➪ *ბუფეტში ისეთი ფასებია, ადამიანს ჭამა აღარ მოუნდება.*

გვერდი 4

*ასა-ს ცნობადობის ასამაღლებლად*

## „ოპტიმალური გამოსავლის“ ძიებაში



გვერდი 2

## „წითელი ცხვირის დღე“

*წითელი ცხვირების შეძენა 60-ზე მეტ სავაჭრო ნერტილშია შესაძლებელი და მისი ღირებულება 5 ლარია.*

*ჯამპანია 24 აპრილამდე გაგრძელდება, ასე რომ, "გაიცინე, გაეცი, გადაარჩინე ბავშვი".*

გვერდი 3

*წიგნის თარო* — *მასწავლებლის ბიბლიოთეკა*

## პროფესიული უნარები

**დამსმარე სახელმძღვანელო გაკეთებულია უკვე საგნის მასწავლებლისთვის**




*პროფესიული უნარების სახელმძღვანელო*

*დაგეხმარებათ დამოუკიდებლად მოემზადოთ პედაგოგიური უნარების გამოცდისთვის. მასალა წარმოდგენილია კითხვა-პასუხის სახით, მდიდარია კონკრეტული მაგალითებით და შეიცავს ცოდნის შესამოწმებელ ტესტებს პასუხებით.*

**თემატიკა:** გაკვეთილის დაგეგმვა, სწავლების მეთოდები, კლასის მართვა, შეფასება, რესურსები, კათედრაზე მუშაობის ფორმები, გამჭოლი კომპეტენციები, მოტივაცია, ინკლუზიური საკლასო გარემო და ისგ, კომუნიკაცია, სასკოლო კონფლიქტები, გაკვეთილის ტიპები, საგანმანათლებლო რესურსის ტიპები და მისი შექმნის ეტაპები, სწავლის და განვითარების თეორიები და ა.შ.

*ფასი – 15 ლარი* *მიმდინარეობს ხელმოწერა*

ასა-ს ცნობადობის ასამაღლებლად

# „ოპტიმალური გამოსავლის“ ძიებაში

**აუტიზმის სპექტრის აშლილობები, ჯერჯერობით, ბოლომდე შეუსწავლელია მედიცინაში, დაბალია საზოგადოების ცნობიერება, არსებობს უამრავი მითი, რომელიც ამ დაავადების გარშემო ვრცელდება და რომელსაც ხშირად შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება. თავისთავად, აუტიზმის ცნობადობის ამაღლებასთან ერთად, მნიშვნელოვანია დავანგრიოთ მითები, რომელიც აუტიზმის გარშემო არსებობს, რადგან თავიდან ავიცილოთ არასწორი ინფორმაციის შესაძლო შედეგები, რომელიც ხშირად უფრო საზიანოა, ვიდრე ინფორმაციის უქონლობა.**

**აუტისტური სპექტრის აშლილობის შესახებ საზოგადოებაში არსებული მითებისა და რეალობის შესახებ გვესაუბრება მენტალური ჯანმრთელობის ცენტრის ბავშვთა ფსიქიატრი და ნევროლოგი მედეა ზირაქაშვილი:**

**– აუტიზმის სპექტრის აშლილობის შესახებ არსებობს კვლევები, რომლებიც ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას იძლევა. მაგალითად, ვაქცინაციას კვლევების ნაწილი რისკ-ფაქტორებს განაკუთვნებს, ნაწილი კი პრევენციად მიიჩნევს. რას გვეტყვით ამის შესახებ?**

– აუტიზმი და ვაქცინაცია, ეს ის თემაა, რომელიც მყარად ინარჩუნებს აქტუალობას წლების განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ თქვენ ვერსად შეხვდებით კვლევითი მტკიცებულებებით გამყარებულ მონაცემებს ვაქცინაციის, როგორც აუტიზმის სპექტრის აშლილობების რისკ-ფაქტორის შესახებ. ყველაზე პოპულარულ და ვალიდურ ინტერნეტ გვერდებზე Autism Speaks, დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის (CDC) და ა.შ. ძალიან მკაცრად ხაზგასმულია, რომ ეს კავშირი არ არის დადასტურებული, დღემდე აუტიზმთან დაკავშირებული ყველაზე მყარი მითი მოსახლეობაში მაინც აცრებია. მაგ., ამ აზრს წელს მიემხრო ამერიკის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი**c** და განცხადებაც კი გააკეთა პრესისთვის, რომელსაც მწვავე რეაქცია მოჰყვა მეცნიერთა წრეებიდან, რომლებიც აბსოლუტურად არ ეთანხმებიან მსგავს მტკიცებულებებს. მიუხედავად იმისა, რომ არანაირი უარყოფითი კავშირი ვაქცინაციასა და აუტიზმს შორის არ დადასტურებულა, მოსახლეობაში შფოთვის შემცირების მიზნით,1999 წლიდან, ამერიკაში ორგანიზაციამ the Food and Drug Administration (FDA) სრულად ამოიღო საბავშვო ვაქცინებიდან ნივთიერება (ვერცხლისწყალი), რომელსაც უკავშირებდნენ გაზრდილ რისკებს. თუმცა, ამ პერიოდიდან მოყოლებული, პრევალენსი აუტიზმთან დაკავშირებით კი არ შემცირდა, პირიქით გაიზარდა: 2000 წელს, თუ აუტიზმის გავრცელება 1:150-თან იყო, ამჟამად 1:68 ბავშვზე მოდის, რაც ერთმნიშვნელოვნად გამორიცხავს იმ დამოკიდებულებას, რაზეც რიგი წრეებისა მსჯელობდნენ. თუ შევადარებთ იმ უარყოფით შედეგებს, რაც აუცრელობამ შესაძლოა მოგვცეს (წითელასმიერი ენცეფალიტი, ქვემწვავე მასკლეროზირებელი პანენცეფალიტი – ტვინის ქსოვილის ანთებითი პროცესი, რაც ხშირად სიკვდილით ან მყარი უნარშეზღუდულობით მთავრდება), ნამდვილად ღირს დაფიქრება, ავყვეთ თუ არა ამ გაბატონებულ მითს აუტიზმთან დაკავშირებით.

რაც შეეხება მტკიცებულებებს აუტიზმის გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით, ძირითადი საკითხები, რომელიც თითოეულ ჩვენგანს აინტერესებს, პრაქტიკულად კვლევის პროცესშია, თუმცა შედარებით დადასტურებულi რისკ-ფაქტორების შესახებ ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია სხვადასხვა წამყვანი ქვეყნების გაიდლაინებში. მაგ. NICE (The National institute for Health and Care Excellence) გაიდლაინში თავმოყრილია ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: და ან ძმა აუტიზმის სპექტრის აშლილობით; დედის 40 წელზე მეტი ასაკი ბავშვის დაბადებისას; მამის 40-49 წლის ასაკი ბავშვის დაბადებისას; ახალშობილის წონა 2500 გრამზე ნაკლები; 35 კვირაზე ნაკლები გესტაციის ახალშობილი; ახალშობილთა ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში მკურნალობის საჭიროება; ცნს-ის თანდაყოლილი მანკები და/ან დისფუნქცია; მამრობითი სქესი; 20 კვირაზე ადრე ნაყოფის მოშლის საშიშროება; დედის მიერ ორსულობის პერიოდში გარკვეული მედიკამენტების გამოყენება; დედაქალაქში ცხოვრება; ემიგრაციაში მყოფი დედა.

**– დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის (CDC) მონაცემებით, ბოლო შვიდი წლის განმავლობაში, მსოფლიოს მასშტაბით, სტატისტიკა არ შეცვლილა. 2010-2017 წლამდე აუტიზმის სპექტრის აშლილობის გავრცელების სტატისტიკა ასეთია: 1:68, აქედან ითვლება, რომ ბიჭებში ყოველი 42-დან ერთს აქვს აუტიზმის დიაგნოზი, ხოლო გოგონებში – 189-იდან – ერთს. ამგვარად, ბიჭებში 4,5-ჯერ მეტია, ვიდრე გოგონებში. რა არის ამის მიზეზი?**

– ეს თანაფარდობა ძალიან სერიოზული კვლევის ობიექტად იქცა. ამის ასახსნელად რამდენიმე ჰიპოთეზა არსებობს:

1. წლების განმავლობაში დიაგნოსტიკური კრიტერიუმები, კლინიკური შემთხვევები და ნიშნები ეფუძნებოდა ბიჭებში დასმული დიაგნოზის კლინიკურ გამოვლინებას.

2. არსებული სკრინინგული ტესტები შესაძლოა არ იყოს სანდო აუტიზმის გამოსავლენად გოგონებში და დახვეწას საჭიროებდეს.

3. გოგონებს შეუძლიათ უკეთ ადაპტირდნენ და „შენიღბონ“ აუტიზმის სპექტრის სიმპტომები (ე.წ. „კომუფლიაჟის ჰიპოთეზა“).

არსებობს კვლევებით დამტკიცებული თავის ტვინის სტრუქტურული სხვადასხვაობა აუტიზმის დიაგნოზის მქონე გოგონებსა და ბიჭებს შორის.

შეიძლება გოგონებში გამოხატული იყოს აუტისტური სპექტრის აშლილობის სიმპტომატიკა, მაგრამ შედარებით მსუბუქად, მისი კომპენსირება გარკვეული უნარ-ჩვევების ხარჯზე ხდება. მაგალითად, გოგონას შეუძლია ითამაშოს იმიტაციური, წარმოსახვითი თამაში – თოჯინა დააძინოს, აჭამოს, ათამაშოს და ა.შ., მაშინ როდესაც ბიჭებში წარმოსახვითი თამაშის არარსებობა აუტისტური სპექტრის აშლილობის გამოვლინების ერთ-ერთი პათოგნომური ნიშანია. ზოგადად, წარმოსახვითი თამაში აუტიზმის სპექტრის აშლილობის დროს მკვეთრად დეფიციტურია. გოგონებში მსგავსი თამაში გვხვდება, თუმცა, შესაძლოა ძალიან გაღარიბებული და სტერეოტიპული იყოს მისი შინაარსი.

აუტიზმის მქონე გოგონებს შედარებით უფრო მეტად შესწევთ უნარი, ჩაწვდნენ სოციალურ კონტექსტს, „ფეხი აუწყონ“ თანატოლებს, რის საფუძველზეც ისინი ახერხებენ იმიტაციურ ურთიერთობებს (თუმცა, უფრო მეტად მაშინ, როცა ინიციატივა სხვისგან მოდის და არა საკუთარი ინიციატივის ხარჯზე). მათ, როგორც წესი, ჰყავთ, სულ მცირე, ერთი მეგობარი, რომელსაც ეჯაჭვებიან და მასზე დამოკიდებულნი ხდებიან.

ასაკის მატებასთან ერთად გოგონები მეტად ხვდებიან თავიანთ განსხვავებულობას თანატოლებთან შედარებით და იმისათვის, რომ ნაკლებად გამოირჩეოდნენ, მიმართავენ ისეთ ხერხს, როგორიცაა: ნაკლები აქტიურობა საუბრის დროს, ზედმეტად მოწესრიგებულობა, რომ არ დაიმსახურონ შენიშვნები და ასევე, მეტად ემორჩილებიან იმ სოციალური გარემოს წესებს, სადაც ხშირად უხდებათ ყოფნა.

შეეხება ბიჭებს, ითვლება, რომ მათში მწვავედ ვლინდება სოციალური ინტერაქციის პრობლემა – არ აქვთ მოტივაცია, შესაბამისად, ნაკლებად აქვთ ურთიერთობაც. ნელ-ნელა, სავარაუდოდ, კვლევები დაადასტურებს, რომ გოგონებში არც თუ ისე იშვიათია აუტისტური სპექტრის აშლილობა, უბრალოდ, მისი ამოცნობა და დიაგნოსტირება არ ხდება სწორად.

**– მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლის, სტეფან სენეფის მოსაზრებით, 2025 წელს, აუტიზმი ყოველ მეორე ბავშვს ექნება. რამდენად რეალურია ასეთი შემაშფოთებელი მზარდი სტატისტიკა?**

– ესეც ერთ-ერთი კვლევაა, რომელსაც, თავისთავად, არსებობის უფლება აქვს. ის ერთ-ერთი მოსაზრებათაგანია, ჰიპოთეზაა. თუ ადრეულ სტატისტიკას გადავხედავთ, მაგალითად, CDC -ის მონაცემებით, 2000 წელს, ითვლებოდა, რომ 150 ბავშვში ერთს აუტიზმის სპექტრის აშლილობა ჰქონდა. შედეგ, სურათი, ნელ-ნელა, შეიცვალა: 2004 – 1:125; 2006 – 1:110; 2008 – 1:88, ხოლო 2010-ში – 1:68 (2010-დან დღემდე, სტატისტიკა არ შეცვლილა). იმედი ვიქონიოთ, რომ ეს მაჩვენებელი კიდევ ბევრი წელი იქნება უცვლელ ნიშნულზე.

**– რას უკავშირდება სტატისტიკის ზრდის შეჩერება, ხომ არ იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ გარკვეული პრევენცია განხორციელდა?**

– ჩემი აზრით, სიხშირიანობაზე ძალიან დიდ გავლენას ახდენს სადიაგნოსტიკო კრიტერიუმები. იმ პერიოდში აქტიურად იხვეწებოდა დიაგნოსტიკა. მაგალითად, ბოლო დროს, შეიცვალა სადიაგნოსტიკო კრიტერიუმები და, ასა-ს ქუდქვეშ გაერთიანებული საკმაოდ დიდი ჯგუფიდან, ბევრი დიაგნოზი ამოვარდა. აუტიზმის წინაპირობად გენეტიკური წინასწარგანწყობისა და რისკ-ფაქტორების ურთიერთქმედება მოიაზრება, რისი წინასწარ განჭვრეტა და ამ გზით პრევენცია, ცოტა არარეალურად მეჩვენება.

მედიცინაც სწორედ პრევენციაში ვერაფერს სახარბიელოს ვერ გვთავაზობს. მაგალითად, ერთ-ერთი რისკ-ფაქტორი დედისა და მამის ასაკს შორის სხვაობაა. თუ ამ რისკ-ფაქტორს გავითვალისწინებთ, ქალსა და მამაკაცს შორის 10 წელზე მეტი სხვაობა არ უნდა იყოს. რატომღაც ეჭვი მეპარება, რომ ეს ვინმემ გაითვალისწინოს და ქორწინებაზე უარი თქვას იმ მიზნით, რომ აუტიზმის სპექტრის აშლილობის პრევენცია მოახდინოს.

**– „წითელი დროშები“ – ასე ეწოდება ადრეულ ნიშნებს, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მშობლებმა იცოდნენ. რა არის ის პირდაპირი სიგნალები, რომლის არსებობის დროს განგაში უნდა ავტეხოთ?**

– მშობელი, ძირითადად, პრობლემას ამჩნევს მას შემდეგ, რაც ბავშვი გადაავადებს მეტყველების დაწყების პერიოდს. თუმცა, თუ 9 თვეზე არ არის სოციალური ღიმილი, 12 თვისთვის ბავშვი არ რეაგირებს სახელით დაძახებაზე, არ წარმოებს ან დეფიციტურია თვალით თვალში მზერითი კონტაქტი, 14 თვისთვის არ იშვერს თითს სასურველზე მისანიშნებლად, 16 თვეზე არ წარმოებს წარმოსახვითი თამაში, 24 თვისთვის 10-ზე ნაკლებ სიტყვას ამბობს – უცილებლად უნდა მიმართონ სპეციალისტს. ასევე, ბავშვებს ასა-თი აქვთ სერიოზული დეფიციტი და სიმწირე ემოციის გადმოცემის მიმიკა-ჟესტების საშუალებით. უჭირთ როგორც საკუთარი ემოციის გამოხატვა, ასევე სხვისი ემოციის გაგება. შესაძლებელია, ბავშვები მეტყველებდნენ, მაგრამ ხშირად დეფიციტურია მეტყველების ფუნქციური გამოყენება. ახასიათებთ მყისიერი ექოლალია – სხვისი ნათქვამის მყისიერი განმეორება ან წარსულში გაგონილი ფრაზების გამოყენება (მოგვიანებითი ექოლალია). მათ უჭირთ დიალოგის წარმოება. ამიტომაც ძალიან მნიშვნელოვანია, მივაქციოთ ყურადღება, რამდენად ფუნქციური, კონტექსტურია მათი მეტყველება ან როგორ შეუძლიათ დიალოგის წარმოება; დასმულ შეკითხვებზე ადეკვატური პასუხის გაცემა; ხომ არ არის მხოლოდ სიტყვების სახელდება, მაგალითად, საგანი დაინახა და მას მხოლოდ ასახელებს; უჭირთ ურთიერთობები თანატოლებთან, აქვთ შეზღუდული ინტერესები, მეტად ინტერესდებიან დეტალებით, საგნებს იყენებენ არაფუნქციურად (აკაკუნებენ და აყურადებენ, აბზრიალებენ და აკვირდებიან, თვალების წინ ატარებენ ერთი მიმართულებით).

**– რამდენად გადამწყვეტია აუტიზმის სპექტრის აშლილობის დიაგნოსტირებისთვის დროულად მიმართვა და ადრეული ჩარევა?**

– „ადრეული *აღმოჩენა, ადრეული მოქმედება*“ – მაგალითად, ასეთი პროგრამა აქვს Autism Speaks-ს. ადრეული ინტერვენცია რადიკალურად ცვლის პროგნოზს. ითვლება, რომ სამ წლამდე დაწყებული თერაპიის შემთხვევაში, 50 პროცენტში, იმდენად უმჯობესდება გამოსავალი, რომ ამ ბავშვებს აღარ აქვთ სკოლაში ჩართულობისა და შემდგომი განვითარების სირთულეები, ყოველ შემთხვევაში, მინიმუმამდეა დასული. ბოლო წლებში მკვლევრები, სულ უფრო ფართოდ იყენებენ ტერმინს „ოპტიმალური გამოსავალი“, რაც ნიშნავს, რომ შესაძლოა აუტიზმის სპექტრის აშლილობის ნიშნები არსებობდეს, მაგრამ ხელს არ უშლიდეს ინდივიდს ყოველდღიურ ფუნქციონირებაში, რაც, ერთგვარად, დიაგნოზის მოხსნის ტოლფასია.

**– როგორ მიიღწევა „ოპტიმალური გამოსავალი“, რას ითვალისწინებს ადრეული ინტერვენცია – მხოლოდ თერაპიას თუ მედიკამენტურ ჩარევასაც?**

– მხოლოდ და მხოლოდ ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია მაშინვე, როგორც კი გამოითქმება ეჭვი განვითარების სირთულეებთან დაკავშირებით. აუცილებელია თერაპიის ინტენსივობა და უწყვეტობა. მედიკამენტი გამოიყენება, მხოლოდ და მხოლოდ, თანმხლები ფსიქიატრიული ან სომატური დაავადებების დროს, თუ აუტიზმს არ ახლავს თანმდევი სიმპტომატიკა, ასეთ შემთხვევაში, პრაქტიკულად, არანაირი მედიკამენტი არ გამოიყენება და არანაირ მედიკამენტს ეფექტი არ აქვს.

**– როგორია სტატისტიკა საქართველოში, გვაქვს თუ არა მონაცემები აუტიზმის სპექტრის აშლილობის დინამიკის შესახებ?**

– სამწუხაროდ, სტატისტიკა არ გვაქვს. პირველი პილოტური კვლევა, საქართველოში, 2008-2009 წლებში ჩატარდა. ნევროლოგთა და ნეიროქირურგთა ასოციაციამ გამოიკვლია და ნახა, რომ 115 ბავშვში 1-ს ჰქონდა აუტისტური სპექტრის აშლილობა. მაშინ ეს რიცხვი, ფაქტობრივად, ემთხვეოდა მსოფლიო სტატისტიკურ მონაცემებს.

**– სჭირდებათ თუ არა აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებს სპეციალური სასწავლო პროგრამები და რამდენად ინტენსიურია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თქვენი თანამშრომლობა?**

## ასა-ს ცნობადობის ასამაღლებლად

– ძალიან აქტიური კომუნიკაცია ნამდვილად ვერ ხერხდება, თუმცა, ალბათ, სასურველი იქნებოდა. ასა-თი ბავშვების 46 პროცენტს ინტელექტთან დაკავშირებული სირთულეები არ აქვთ, თუმცა მათი სკოლის გარემოში ჩართულობის ძირითად პრობლემას, სხვადასხვა ინტენსივობით გამოხატული, ქცევის დარღვევები წარმოადგენს, ამას შესაძლოა დაემატოს ყურადღების კონცენტრირების სირთულე. ხშირად აუტიზმის სპექტრის აშლილობების მქონე ბავშვებს აქვთ დასწავლის სპეციფიკური სირთულეები. თუ პედაგოგებს ექნებათ შესაბამისი ფსიქოგანათლება და მოტივაცია, ვფიქრობ, სწავლის მისაღებად, ადეკვატური გარემოს შექმნა ამ ბავშვების უმრავლესობისთვის დიდ სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს.

**– არსებობს თუ არა სახელმწიფოს მიერ ცენტრალიზებულად დაფინანსებული პროგრამები და ძვირადღირებულია თუ არა ასა-ს თერაპია?**

– 2015 წლიდან ფუნქციონირებს მერიის პროგრამა, რომელიც მხოლოდ თბილისს მოიცავს. ასეთივე პროგრამას ახორციელებს ბათუმის მერიაც. თბილისში ბავშვებს თვეში 20 თერაპიული საათი უფინანსდებათ, რაც ცოტა არ არის, მით უმეტეს, რომ შენარჩუნებულია უწყვეტობა და მუდმივობა. ეს აისახა კიდეც შედეგებზე.

სასურველია, უფრო მეტად გაძლიერდნენ მშობელთა ასოციციები. სწორედ ძლიერმა მშობლებმა შეცვალეს ბევრი რამ სასიკეთოდ. მათ უნდა დაანახონ მუნიციპალიტეტებს, რამდენად მნიშვნელოვანია მსგავსი ცენტრების არსებობა რეგიონებშიც. ამ საკითხებზე მომუშავე ცენტრები დაუზარლად გავუწევთ მათ დახმარებას. რასაკვირველია, უმჯობესია, სახელმწიფო პროგრამა უფრო მასშტაბური იყოს, მაგრამ თუნდაც მუნიციპალიტეტების დაფინანსებით პროგრამების ამოქმედება სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯია.

**– საერთაშორისო სტანდარტით, რამდენი თერაპიული საათი მიიჩნევა ნორმად და გქონიათ თუ არა ცენტრში „ოპტიმალური გამოსავლის“ შემთხვევები?**

– განვითარებულ ქვეყნებში ითვლება, რომ თერაპიული პროცესი, კვირაში, 25-დან 40 საათს მოიცავს. პროცესში ჩართულია მულტიდისციპლინური გუნდი. ქართული რეალობით, კვირაში 5 საათია გათვალისწინებული. ჩვენს ცენტრში, ქცევით თერაპიასთან ერთად, საჭიროების მიხედვით, მშობელს აქვს საშუალება, ბავშვი ჩართოს: ხელოვნების, სენსორულ, ფიზიკურ და მეტყველების თერაპიებში. ვთავაზობთ ასევე სპეცპედაგოგის მომსახურებას.

რაც შეეხება „ოპტიმალურ გამოსავალს“, ასეთი შემთხვევა, რა თქმა უნდა, გვქონია. გარკვეული დროის შემდეგ, პაციენტისთვის ინტენსიური თერაპია მოგვიხსნია, თუმცა, ზოგიერთი სირთულეების არსებობის გამო, მაგალითად, სოციუმში ინტეგრირება სხვაგვარად ორგანიზებული თერაპიით ჩაგვინაცვლებია – ვრთავთ ჯგუფურ აქტივობებში, ვმუშაობთ სოციალურ სიტუაციებზე, ისტორიებზე და ა.შ.

სტატისტიკაც ამას გვეუბნება, ადრეული დიაგნოსტიკის შემთხვევაში 3-25%-ია შესაძლებელი „ოპტიმალური გამოსავლის“ მიღწევა. ვიყოთ ყურადღებიანები, პრობლემური ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, დროულად მივმართოთ პროფესიონალებს, ადრეულად ჩავრთოთ ბავშვი რეაბილიტაციის პროცესში და შედეგიც არ დააყოვნებს.

ესაუბრა
**ლალი ჯელაძე**

## ინფორმაცია

# პირველკლასელთა რეგისტრაცია დაიწყო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს პირველკლასელთა რეგისტრაციას 2017-2018 სასწავლო წლისათვის.

**რეგისტრაცია განხორციელდება სამ ეტაპად:**

**I ეტაპი** დაიწყება 10 აპრილს და 24 აპრილს დასრულდება. ამ ეტაპზე, სკოლებში მხოლოდ ის მოსწავლეები რეგისტრირდებიან: რომელთა და-ძმა სწავლობს ამ სკოლაში, რომელთა მშობელია ამ სკოლის თანამშრომელი და რომლის ოჯახიდანაც, ერთდროულად, ორი ან მეტი ბავშვი შედის სკოლაში. რეგისტრაცია განხორციელდება სკოლებში, 25 აპრილიდან კი დაიწყება სკოლებში სავალდებულო დოკუმენტების წარდგენა.

**II ეტაპზე** განხორციელდება საყოველთაო ელექტრონული რეგისტრაცია, რომელიც 8 მაისს დაიწყება და 1 ივნისს დასრულდება. ამ ეტაპზე შესაძლებელი იქნება ყველა იმ ბავშვის რეგისტრაცია, რომლის ასაკი ნორმით დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. რეგისტრაცია განხორციელდება განათლების მართვის საინფორმაციო ცენტრის ვებგვერდზე – www.emis.ge. მეორე ეტაპზე, რეგისტრირებული მოსწავლეების ჩასარიცხად, მშობლები სკოლაში სავალდებულო დოკუმენტებს, 2 ივნისიდან 15 ივნისის ჩათვლით, წარადგენენ.

**იმ შემთხვევაში, თუ პირველ და მეორე ეტაპზე მშობელმა ვერ წარადგინა განსაზღვრული სავალდებულო დოკუმენტები, ბავშვი ავტომატურად მოიხსნება რეგისტრაციიდან.**

**III ეტაპი** განხორციელდება იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც ვერ დარეგისტრირდნენ ან რომლებიც მოიხსნენ რეგისტრაციიდან. მესამე ეტაპის ვადად განსაზღვრულია 19 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით პერიოდი. რეგისტრაციის პარალელურად, მიმდინარეობს სკოლებში საბუთების წარდგენა.

მშობლების საყურადრებოდ! დროულად დაარეგისტრირეთ შვილები და ყურადღებით მოეკიდეთ დადგენილ ვადებს.

## ტრენინგ-სემინარი პოტენციურ ავტორთა მხარდასაჭერად

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აგრძელებს პოტენციურ ავტორთა მხარდაჭერას და პარტნიორებთან ერთად, ა.წ. 21 აპრილიდან იწყებს ტრენინგებს/სემინარებს საავტორო უფლებების დაცვის, სასკოლო სახელმძღვანელოების კონსტრუირების, სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მდგრადი განვითარების საკითხებზე.

დამატებითი ინფორმაციის გაცნობა შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: http://mes.gov.ge/s/7n6ET

ტრენინგებზე/სემინარებზე დასწრების მსურველ დაწყებითი საფეხურის სახელმძღვანელოების პოტენციურ ავტორებს, გთხოვთ, გაიაროთ წინასწარი რეგისტრაცია შესაბამისი ტრენინგის/სემინარის გასწვრივ მითითებულ ელექტრონულ მისამართზე. პროცესის დასასრულს მსმენელებს გადაეცემათ სერტიფიკატები.


## გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

აცხადებს ღია კონკურსს
აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

**ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი**
*ფინანსებისა და ეკონომიკის კათედრა*

⇨ 1 ასოცირებული პროფესორი

**საბუთების მიღება იწარმოებს:**
2017 წლის 22 მაისიდან 2017 წლის 30 მაისამდე,
ყოველდღიურად, შაბათ-კვირის გარდა
10:00 საათიდან 16:00 საათამდე.

**კონკურსი ჩატარდება:** 2017 წლის 05 ივნისს.

**კონკურსი დასრულდება და საბოლოო შედეგი გამოქვეყნდება 2017 წლის 09 ივნისს.**

**დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.gttu.edu.ge ან დაგვიკავშირდეთ შემდეგ ნომრებზე: 2 66 15 12; 2 24 65 91**


# აქცია – „წითელი ცხვირის დღე“

31 მარტიდან საქართველო ოფიციალურად შეუერთდა საქველმოქმედო კამპანიას Red Nose Day. „გაიცინე, გაეცი, გადაარჩინე ბავშვი“ – ეს არის კამპანიის სლოგანი და მთავარი მიზანი, რომელშიც, მსოფლიოს მასშტაბით, არაერთი ქვეყანა მონაწილეობს. „წითელი ცხვირის დღე“ ორ წელიწადში ერთხელ იმართება. აქციის ორგანიზატორები თანხის შეგროვებას მუსიკოსების, სპორტსმენების, მსახიობების და რიგითი ადამიანების დახმარებით ცდილობენ. აქციაზე მისულმა ადამიანებმა აუცილებლად „წითელი ცხვირი“ უნდა იყიდონ. მომღერლები კონცერტებს აწყობენ, სპორტსმენები – მარათონს. ყველა იმას აკეთებს, რაც შეუძლია და ამ აქციიდან შეგროვილი თანხა ბავშვების დახმარებას ხმარდება.

*„საოცრებათა შორის სასწაულზე უფრო მეტად სასწაული ამბავი მოხდა, დიდი ამბების შემდეგ მოვიპოვეთ საერთაშორისო საქველმოქმედო აქციის – Red Nose Day საქართველოში ჩატარების ლიცენზია. ჩვენ ყველა ერთად ვიყიდით, გავყიდით, გავიკეთებთ წითელ ცხვირებს, ვიცინებთ და რაც ყველაფერზე მთავარია – შეგროვილი ფულით ზაფხულში ვიყიდით მიწას თბილისში და ავაშენებთ შენობას, სადაც სულ იქნება საჭმელი, ტანსაცმელი და ნივთები მათთვის, ვისაც ყიდვის საშუალება არ აქვს. 24 მარტიდან ყველას წითელი ცხვირი გვეკეთება იმისთვის, რომ შიმშილი და სიცივე მოვსპოთ. იყიდეთ, მინიმუმ, ერთი ცხვირი, გაიკეთეთ, გადაიღეთ ფოტო, გაიცინეთ, გააცინეთ სხვები და იცოდეთ, რა მაგარ საქმეს გააკეთებთ ამით. გაყიდვები დაიწყო“* – წერს აქციის ერთ-ერთი ინიციატორი, სცენარისტი აკა სინჯიკაშვილი. საქართველოში, წელს გამართული „წითელი ცხვირის დღიდან“ შემოსული თანხა, აკა სინჯიკაშვილის ინიციატივის მხარდაჭერას და ლეიკემიით დაავადებული ნიკუშა დვალაძის მკურნალობას მოხმარდება. წითელი ცხვირების შეძენა 60-ზე მეტ სავაჭრო წერტილშია შესაძლებელი და მისი ღირებულება 5 ლარია.




აღსანიშნავია, რომ „წითელი ცხვირის დღე“ ობოლ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის განკუთვნილი საქველმოქმედო აქციაა. ინგლისური საქველმოქმედო ორგანიზაცია Comic Relief, 1985 წელს, კომედიური ჟანრის სცენარისტმა რიჩარდ კერტისმა და კომიკოსმა მსახიობმა ლენი ჰენრისმა დააარსეს. გაჩნდა იდეა, რომ სწორედ იუმორის მეშვეობით შეგროვებულიყო თანხა ბავშვების დასახმარებლად. აქცია ეთიოპიაში შიმშილისგან სიკვდილის წინაშე მდგარი ადამიანების დახმარებას ისახავდა მიზნად. „წითელი ცხვირის დღე“, პირველად, 1988 წელს აღინიშნა. შოუში, რომელიც BBC-ის ეთერში გაშუქდა, 150-ზე მეტმა ცნობილმა ადამიანმა და კომიკოსმა მიიღო მონაწილეობა, გადაცემას 30 მილიონზე მეტი მაყურებელი ჰყავდა, რისი მეშვეობითაც 15 მილიონი ფუნტი შეგროვდა ბავშვების დასახმარებლად. კამპანიას, მოგვიანებით, სხვადასხვა ქვეყნებიც შეუერთდნენ: ჩინეთი, აშშ, ბელგია, გერმანია და სხვ. კამპანიაში უამრავი ცნობილი ადამიანი მონაწილეობს, იძენს ცხვირს, იღებს ფოტოს და ეხმარება ბავშვებს. აღსანიშნავია, რომ 2001 წელს, ჯოან როულინგს „სიკეთის სახელით“ რაიმეს დაწერა შესთავაზეს. მწერალი დათანხმდა და საკმაოდ მოკლე პერიოდში ორი ნაწარმოები: „ჯადოსნური ცხოველები. სად ვიპოვოთ ისინი“ და „ქვიდიჩის მრავალსაუკუნოვანი ისტორია“ დაწერა. წიგნების გაყიდვიდან შემოსული თანხის 80% ბავშვებს მოხმარდა.

აღსანიშნავია, რომ „წითელი ცხვირის დღეს“ ჯამბაზების ცხვირებით ძეგლებსაც კი რთავენ. საქართველოში კამპანია 24 აპრილამდე გაგრძელდება, ასე რომ, „გაიცინე, გაეცი, გადაარჩინე ბავშვი“.

გამოკითხვა

# რას ფიქრობენ უფროსკლასელები

ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის, ალბათ, საინტერესო იქნება, რას ფიქრობენ მოსწავლეები მშობლიური სკოლის, პედაგოგების, სახელმძღვანელოების, ზოგადად, სასწავლო პროცესის შესახებ. ამიტომაც გამოვკითხეთ თბილისის ოთხი საჯარო სკოლის 200-მდე მოსწავლე. გამოკითხვა ანონიმური იყო და უფროსკლასელებმა გულწრფელად გამოხატეს საკუთარი დამოკიდებულება. შესაძლოა ზოგი რამ გადაჭარბებულად გეჩვენოთ, მაგრამ საინტერესოა, რას ფიქრობენ სწორედ ისინი, ვისთვისაც არსებობს სკოლა, იღვწიან პედაგოგები, იქმნება სახელმძღვანელოები...

გამოკითხვამ იმ რეალობის წინაშე დაგვაყენა, რომელშიც დღეს ქართული სასკოლო განათლება დგას. სამწუხაროდ, მოსწავლეების წერილებიდან ნათლად ჩანს, რომ თანამედროვე სწავლების პროცესში მათ არავინ ეკითხებათ: რა სურთ? როგორია მათი თვალით დანახული სასკოლო გარემო, რას ელიან მასწავლებლებისგან? სიხარულით აღებენ თუ არა სკოლის კარს და თუ არა, რატომ? როგორ ისახება მასწავლებლის გარეგნობა, ასაკი და ხასიათი მათზე? თუ ჰკითხავთ ნებისმიერ მოსწავლეს – რატომ არ მოსწონს სკოლა? ის გულახდილად ისაუბრებს სკოლაში შექმნილ არაჯანსაღ გარემოზე, მოუწყობელ კლას-კაბინეტებზე, საპირფარეშოებში არსებულ ჰიგიენური ნორმების დარღვევაზე, სკოლის ბუფეტში საკვების სიძვირეზე და არაეკოლოგიურ პროდუქტებზე, მასწავლებლების არაკვალიფიციურობასა და უსამართლობაზე, სახელმძღვანელოების ხარისხზე და ა.შ. მოსწავლეები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სურთ ჰყავდეთ კვალიფიციური და სამართლიანი მასწავლებელი, რომელიც მოსწავლეს განაწყობს მისდამი ნდობითა და პატივისცემით, მასწავლებლებისგან მოითხოვენ გულწრფელ ღიმილს, სიყვარულს და მათდამი კეთილგანწყობას. მათი სურვილია, სწავლა გახდეს უფრო საინტერესო, სახალისო, სასწავლო პროცესი აგებული იყოს მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით.

გამოკითხვამ აჩვენა, რომ ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მასწავლებლის ასაკს: „მე ის მომწონს, იმიტომ რომ ძალიან თანამედროვეა“; დიდ ყურადღებას აქცევენ მთავარს – ადამიანურ ღირებულებებს. მოსწავლეთა უმეტესობა ხაზგასმით აღნიშნავს: „მასწავლებელი უნდა იყოს სამართლიანი, მას არ უნდა ჰყავდეს გამორჩეულები“. მასწავლებლების მიერ მოსწავლეების გამორჩევა, ხშირად, უკმაყოფილების მიზეზი ხდება: „მასწავლებელი ჩვენთვის სამაგალითო უნდა იყოს“. ხმის აწევა, ყვირილი, შეურაცხყოფა, დამამცირებელი გამონათქვამები, სარკაზმი, საკუთარი მოსაზრების დაჟინებით გატანა, ერთი მოსწავლის მეორესთან შედარება, ერთის მიმართ დიდი სიმპათიის გამოხატვა და სხვების მუდმივი ძაგება მოსწავლეებს შეუმჩნეველი არ რჩებათ. თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეები წერილებში თამამად საუბრობენ თავიანთ სურვილებზე, ოცნებებსა და პრობლემებზე.

* * *

„სკოლა საკმაოდ დიდ როლს თამაშობს ადამიანის ცხოვრებაში. სწორედ საგანმანათლებლო დაწესებულება ახდენს ზეგავლენას ბავშვის სრულფასოვან განვითარებაზე. 16 წლის მოზარდი სკოლაში დაახლოებით 6 საათს ატარებს, რაც დღის მეოთხედი ნაწილია. 6 საათის განმავლობაში ის არა მხოლოდ საგნებს, არამედ ყოფით პრობლემებთან და დილემებთან გამკლავებას სწავლობს. იძენს უნარ-ჩვევებს, რომელთა დახმარებით ყალიბდება წარმატებულ ადამიანად.

ჩემი აზრით, საჭიროა სკოლის ახალი მოდელის შექმნა და ძირეული რეფორმების გატარება, რომ სკოლის გარემო სასურველი გახდეს მოსწავლისთვის. ნებისმიერი ასაკის ბავშვი სკოლაში ხალისით უნდა მიდიოდეს და არა იძულებით, მოვალეობის მოხდის მიზნით. პირველ რიგში, ყურადღება უნდა მივაქციოთ ისეთ საკითხებს, როგორიციაა კლას-კაბინეტების, სველი წერტილებისა და სპორტ-დარბაზების კეთილმოწყობა. ვერანაირი რეფორმა ვერ აამოძრავებს ჭარბწონიან ბავშვს, თუ მას შესაბამისი პირობები არ ექნება სპორტის გაკეთილზე და მის შემდეგაც კი. საჭიროა საშხაპე კაბინები და შედარებით დიდი დასვენება, რათა ბავშვებმა მოახერხონ თავის მოწესრიგება. ამ მხრივ, შესანიშნავია ამერიკული მოდელი, რომელიც ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პოპულარიზაციას სკოლის ასაკიდან უჭერს მხარს. საჭიროა ღია მოედნების კეთილმოწყობა და სახალისო შეჯიბრებების ჩატარება, რათა სპორტის გაკვეთილი უფრო აქტიური გახდეს. უმნიშვნელოვანესი საკითხია სკოლაში ჰიგიენის დაცვა კლას-კაბინეტებში, ბუფეტსა და სველ წერტილებში, ზოგადად შიდა ინფრასტრუქტურის გამართვა. სკოლა არ უნდა ასოცირდებოდეს უსიამოვნებასთან, თუნდაც ბიოლოგიური მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობის გამო ბავშვი არ უნდა ისტრესებოდეს ფსიქოლოგიურად.

ვფიქრობ, სკოლას აქვს რესურსი დამოუკიდებლად გამოიმუშაოს ფული, თუნდაც ქაღალდის გადამუშავებით, მაკულატურის შეგროვების წესის შემოღებით, ჩვენ შეგვიძლია ბიბლიოთეკებში შემოვიტანოთ ახალი წიგნები ან სველი წერტილები მოვამარაგოთ ტუალეტის ქაღალდით. გარდა ამისა, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს განათლების მიღების დრმოოჭმული მეთოდი, რომელიც ტექსტების დაზუთხვას და ზედაპირული ანალიზების მიმოხილვას გულისხმობს. დამეთანხმებით ალბათ, რომ საგაკვეთილო პროცესს მნიშვნელოვნად აუმჯობესებს გარემო. პატარა ბავშვისთვის, რომელიც ეცნობა თანასაზოგადოების მოდელს ან ორგანიზმთა განვითარებას, მოსაწყენია მხოლოდ წერილობითი მასალის სწავლა, ის ხომ იმ ეტაპზეა, როცა ყველაფრის შემეცნება და ნახვა სურს. გაცილებით უფრო პროდუქტიულია Discovery-ს 10-15-წუთიანი ვიდეორგოლის ნახვა და 15-წუთიანი გაკვეთილის ახსნა. ამ გზით მოსწავლე არა მხოლოდ სიტყვიერ ინფორმაციას, არამედ ვიზუალურ მასალასაც აღიქვამს. ნამდვილად ტრაგედიაა სწავლობდე ადამიანის აგებულებას, ჩონჩხს არა მოდელის მაგალითზე, არამედ მცირე ზომის ფოტოსურათზე. ან თუნდაც ავიღოთ ხელოვნების გაკვეთილი, რომელიც ნაცვლად იმისა, რომ კრეატივს აღვივებდეს, თეორიული მასალის დაზუთხვაზეა ადაპტირებული. ხელოვნების გაკვეთილის პროდუქტიულობისთვის საჭიროა მეტი პრაქტიკა და ფანტაზია, არა მხოლოდ ხატვასთან გაიგივება ამ შემოქმედებითი პროცესის, არამედ სხვადასხვა დარგებთან დაკავშირება. ინტერნეტში უამრავი მასალაა, სადაც, მაგალითად, ხატავენ ქვებზე, აფერადებენ კენჭებს, ფურცლებისგან აკეთებენ ყვავილებს და სხვ. უნდა ეწყობოდეს მსგავსი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა. განსაკუთრებით მწვავედ დგას უცხო ენების სწავლების პრობლემა, რომლის მოგვარება დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. უცხო ენის შესწავლა სპეციფიკური და ინდივიდუალურია, ვინაიდან მას ყველა სხვადასხვანაირად ითვისებს. 30 ბავშვისგან დაკომპლექტებულ კლასში რთულია C1, B2 და A1 დონის ბავშვები ერთი პროგრამით გაატარო და რაღაც შედეგი გქონდეს. უცნაურია 10 წელი სწავლობდე/წვალობდე რომელიმე უცხო ენას, მაგალითად, რუსულს და მაინც ვერ ფლობდე. ე.ი. პრობლემა განათლების მიღების ფორმაშია, მოდელში, რომელიც აშკარად წარუმატებელია. თუ იქნება განაყოფი უცხო ენაში, პედაგოგი აღარ იქნება უტოპიურ სიტუაციაში. განაყოფში ყველა შესაბამისი დონით განვითარდება და 10 წელიწადში ნამდვილად შესანიშნავ შედეგებს დადებს.

პრობლემაა სახელმძღვანელოებიც, რომლებშიც ნაკლებადაა მოცემული სააზროვნო კითხვები. ქართულ ლიტერატურაში ისწავლება ისეთი ნაწარმოებები, რომელთა წაკითხვაც კლასგარეშედ შეიძლება, სამაგიეროდ, არ არის შესული ცნობილი ქართველი მწერლების პროზა თუ პოეზია, ასევე არ მეორდება გრამატიკა, რომელიც გამოცდაზე საჭიროა. ამიტომ გახდა აქტუალური კერძო რეპეტიტორების საკითხი.

დამამთავრებელ კლასებში საჭიროა ისეთი საგნის შემოტანა, რომელიც წარმატებულ და აქტიურ მოქალაქეს გაზრდის. გაცილებით მართებულია მაღალ კლასში ბავშვებმა თვითონ გააკეთონ არჩევანი, რომელ დამატებით საგანს ისწავლიან, ეს მოსწავლეების და არა სკოლის პრეროგატივა უნდა იყოს.

საკმაოდ რთულია აღმოფხვრა პრობლემები, რომლებიც კონკრეტულად ერთ სკოლას კი არა, საერთოდ, მთლიანად სისტემას აწუხებს, თუმცა, შესაძლოა ისინი ეტაპობრივად გადაიჭრას ინოვაციური თუ უკვე აპრობირებული მეთოდების გამოყენებით.

დროა, სკოლამ რეალურად იზრუნოს ინიციატორებისა და მომავლის ლიდერების წარმოქმნაზე და ყველანაირად წინ აღუდგეს იმ უსამართლობას, რომელსაც ბულინგი ჰქვია. დროა, რეაგირება მოვახდინოთ ჩაგვრაზე და კანონი, რომელიც ყველა სკოლას აქვს, შინაგანაწესის სახით, ქმედებაში მოვიყვანოთ.“

* * *

„ჩემი აზრით, სკოლა ბავშვს უნდა ამზადებდეს ცხოვრებისთვის და არა გამოცდისთვის. სასურველია, სკოლაში ფორმებით დავდიოდეთ, რადგან უფორმოდ, კარგი თუ ცუდი ტანსაცმლით სიარული ერთმანეთში, მოსწავლეებში სხვადასხვა დამოკიდებულებას იწვევს. მასწავლებელი მაღალი განათლების დონით უნდა გამოირჩეოდეს. სწორი, სამართლიანი და ადეკვატური დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს მოსწავლეებთან. არ უნდა ანსხვავებდეს მათ რაიმე ნიშნის მიხედვით. პირველ რიგში, უნდა შეძლოს საგაკვეთილო პროცესის მართვა. სიჩუმე, წესრიგი გაკვეთილზე, ეს ის უმნიშვნელოვანესი პირობაა, რითაც შევძლებთ ახსნილი მასალის კარგად გაგებას. მასწავლებელმა საგაკვეთილო პროცესიდან 5-10-წუთიანი გადახვევა უნდა გააკეთოს, რათა მოსწავლე განიტვირთოს. მან არ უნდა გამოიყენოს დამცინავი, უსამართლო მიმართვები და რეპლიკები. დირექცია უნდა შედიოდეს თითოეული ბავშვის მდგომარეობაში. უნდა ზრუნავდეს მოსწავლის კომფორტზე. სკოლაში უნდა იყოს სითბო, კარგი განათება და თანამედროვედ მოწყობილი საკლასო ოთახები. დირექტორი დიდი ავტორიტეტით უნდა სარგებლობდეს მოსწავლეებში. სკოლაში მეგობრული გარემო უნდა იყოს. მანდატურები არ უნდა ჭორაობდნენ მოსწავლეებზე, არ უნდა ერეოდნენ ბავშვების პირად ცხოვრებაში, არ უნდა გისვამდნენ ისეთ კითხვებს, რაც შეურაცხყოფას გაყენებს.“

* * *

„მინდა სკოლაში ხელსაქმე ისწავლებოდეს, ვაჟებისთვის – ხელობა, გოგონებისთვის – კერვა. განათლების სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს გეგმა, რის მიხედვითაც მასწავლებლების კომპეტენტურობა იქნება შემოწმებული და მოსწავლეებს ჩაუტარდებათ გეგმიური ჯანმრთელობის შემოწმება. კარგი იქნებოდა სკოლაში ტარდებოდეს სპორტული შეჯიბრებები, ვიქტორინები, ლიტერატურული საღამოები, კონკურსები, კონფერენციები. სკოლას უნდა ჰქონდეს დიდი, სუფთა და ლამაზი ინტერიერით გაწყობილი ბუფეტი. კარგი იქნებოდა, კვების რაციონში თუ დაამატებდნენ: რძეს, მაწონს, ხაჭოს, ხილს, ბოსტნეულს, რათა უფრო ჯანსაღად ვიკვებოთ. სკოლაში უნდა იყოს ქიმიის და ფიზიკის ლაბორატორიები, სადაც ელემენტარული ცდის ჩატარებას მაინც შევძლებდით. მოსაგვარებელია სახელმძღვანელოების პრობლემა. როგორც შინაარსობრივად, ისე ვიზუალურად სახელმძღვანელოები სერიოზულ ცვლილებას საჭიროებს. წიგნების სიმძიმის გამო, მეც და ბევრ ჩემს მეგობარს ხერხემლის პრობლემები გვაქვს. მოკლედ, ჩემთვის სასურველი სკოლა სულ სხვანაირია, აი, ისეთი, მხოლოდ ფიქრებში რომ წარმომიდგენია.“

* * *

„პირველ რიგში, მასწავლებელი მაღალკვალიფიციური, სამართლიანი, განათლებული, უშუალო და ფსიქიკურად გაწონასწორებული უნდა იყოს. ლოიალური, მეგობრული ურთიერთობა უნდა ჰქონდეს ბავშვებთან, მაგრამ კლასის დამორჩილებაც უნდა შეძლოს. არ უნდა იყოს მიკერძოებული, არ უნდა გამოარჩიოს და ამოიჩემოს ბავშვები რაიმე ნიშნის მიხედვით, მისთვის ყველა მოსწავლე ერთნაირად ძვირფასი უნდა იყოს. უნდა ჰქონდეს ფსიქოლოგიური გამოცდილება და იცოდეს, თუ როგორ მიუდგეს თითოეულ მოსწავლეს. უნდა გაითვალისწინოს, რომ ყველა საგანში მოსწავლე ერთნაირად ძლიერი ვერ იქნება. ამიტომ, შესაძლებლობიდან გამომდინარე უნდა მისცეს დავალება. არ უნდა გვაძლევდეს ბევრ დავალებას, უნდა გაითვალისწინოს, რომ სხვა საგნებსაც ვსწავლობთ. მთავარია, მასწავლებელმა თავისი „უხასიათობის“ გამო მოსწავლე არ დასაჯოს, რაც ხშირი შემთხვევაა. უნდა იყოს სპეციალური გაკვეთილი მოსწავლეებთან გასაუბრებისთვის, რათა ჩვენც მოგვისმინონ, გაიგონ რა გვსურს, რა მოგვწონს, რა არ მოგვწონს და ა.შ. თუ მოსწავლეს მასწავლებლის მიმართ რაიმე შენიშვნა ექნება, ამის გამო ის არ უნდა შეიძულოს. მასწავლებელმა მოსწავლეს თავისი მიდგომით და ქცევით უნდა შეაყვაროს საგანი“.

* * *

„ვერანაირი კანონი, კონვენცია, ზოგადი განათლების ეროვნული გეგმა და რეფორმა ვერ გვიშველის, თუ არ აღმოიფხვრება ის ყოფითი ხარვეზები, რაც დღეს სკოლაში არსებობს. თუ გინდათ კონკურენტუნარიანი, განათლებული, წარმატებული და ბედნიერი თაობა, ამისთვის, პირველ რიგში, საჭიროა სკოლის კარგად მოწყობა, კვალიფიციური პედაგოგები, სწავლების ახალი მეთოდების შემოღება და სახელმძღვანელოების სერიოზული გადახედვა და დახვეწა.

მასწავლებელი ესთეტიკურად კარგად უნდა გამოიყურებოდეს, უნდა ეცვას შესაფერისი ტანსაცმელი. საგნის გარდა მას უნდა შეეძლოს მოსწავლეს მიაწოდოს და ესაუბროს საინტერესო თემებზე. სასურველია, მასწავლებელი ახალგაზრდა და თანამედროვე იყოს. არ უნდა ყვიროდეს. არ უნდა იყოს ანჩხლი, კაპასი... არ ძალადობდეს ფიზიკურად თუ ფსიქოლოგიურად მოსწავლეებზე“.

* * *

„თანამედროვე განათლების სისტემაში უმნიშვნელოვანესი პრობლემაა ის, რომ მასწავლებელს არ შეუძლია მისცეს მოსწავლეს ხარისხიანი განათლება, შესაბამისად მოსწავლეს არ სურს სწავლა – იმიტომ, რომ არ არის მოტივაცია. ჩემი აზრით, სწავლება უნდა იყოს ბავშვზე ორიენტირებული სწავლების მეთოდებით. რა სურთ ბავშვებს, სამწუხაროდ, ამაზე დღეს არავინ ფიქრობს და არც არავინ გვეკითხება.

სკოლა უნდა იყოს უსაფრთხო გარემო, სადაც დაცული იქნება ბავშვის ფსიქოლოგიური, ფიზიკური, სხვადასხვა ეროვნების, რელიგიის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების უფლებები.

მასწავლებელი არ უნდა იყოს ფსიქოლოგიურად გაუწონასწორებელი, უნდა ესმოდეს, რომ მას მეტი მოეთხოვება, ვიდრე რიგით თინეიჯერს, შეძლოს შეძლებისდაგვარად სიმშვიდის შენარჩუნება. არ ვგულისხმობ, რომ შეურაცხყოფაზე მოსწავლეს თავზე ხელი უნდა გადაუსვას, თუმცა კამათის, რაიმე დაპირისპირების დროს მეტად ადეკვატური უნდა იყოს. მასწავლებელი არ უნდა ფიქრობდეს, რომ მოსწავლეზე მაღლა დგას და მხოლოდ იმიტომ, რომ გაკვეთილის ახსნაში ფულს უხდიან, მეტ პატივისცემას იმსახურებს, ვიდრე მოზარდი. მასწავლებლის უმეტესობის ამ თვალთახედვის ნათელი მაგალითია, რომელიც ყველა მოსწავლეს ერთხელ მაინც გაუგია: „ნუ მეპასუხები“. რატომ არ უნდა შეგეპასუხო, როცა ერთი პიროვნება მე, მეორე პიროვნებას მესაუბრები, ალოგიკურია, ჩემგან პასუხს, არგუმენტს არ ელოდე. არ უნდა გვესაუბრებოდეს მასწავლებელი სიძულვილის ენით. მასწავლებელმა, რომელიც პასუხისმგებელია ათეულ ბავშვზე, მათ მსოფლმხედველობაში გარკვეული წვლილის შეტანაზე, ეს პასუხისმგებლობა სერიოზულად უნდა მიიღოს და კლასი პირად პლატფორმად, საკუთარი შეხედულებების საფრქვევად არ უნდა გამოიყენოს“.

* * *

„ჩემს სკოლაში ბევრ რამეს შევცვლიდი. მაგალითად, ზამთარში კლასში არ უნდა ვიყინებოდეთ, უნდა იყოს გათბობა. კლასები ნათელი, სუფთა და გარემონტებული უნდა იყოს. სასურველია, სკოლაში იყოს ნივთების შესანახი კარადები, როგორც სხვა ქვეყნის სკოლებშია. გარემო თბილი და მეგობრული უნდა იყოს, მოსწავლეები შიშით არ უნდა დადიოდნენ, სკოლაში სიარულს აზრი უნდა ჰქონდეს, რაც მასწავლებლების ბრალია. რაც შეეხება პედაგოგებს, ჩვენი მასწავლებლები ნერვიულები არიან, მოსწავლეებს სხვისი თანდასწრებით შეურაცხყოფას აყენებენ. ბევრ მასწავლებელს გაკვეთილის გადმოცემის უნარი არ აქვს, ამისთვის საჭიროა აიმაღლონ კვალიფიკაცია და გაიარონ შესაბამისი ტრენინგი. მასწავლებლების უმეტესობა კლასში მოვალეობის მოხდის მიზნით შემოდის და ფიქრობს იმაზე, როდის აიღებს ხელფასს და ჩვენ რას ვიგებთ და რას არა, ეს სულ არ აინტერესებთ. მასწავლებელს და განსაკუთრებით, დამრიგებელს უნდა ჰქონდეს მოსწავლეებთან მეგობრული ურთიერთობა როგორც გაკვეთილზე, ისე გაკვეთილის გარეთ.

დირექტორი და სასწავლო ნაწილი სულ დაბღვერილი სახით არ უნდა დადიოდნენ, მოსწავლეებს უნდა ცნობდნენ. რა თქმა უნდა, სკოლაში სიმკაცრე საჭიროა, მაგრამ არა გადამე-

## გამოკითხვა

ტებული და უსაფუძვლო. მოსწავლე შიშის და სტრესის ქვეშ არ უნდა იმყოფებოდეს.

მნიშვნელოვანია სველ წერტილებში სისუფთავის დაცვა, საპირფარეშოში თხევადი საპონი და ხელსახოცი რომ უნდა იყოს, ამაზე 21-ე საუკუნეში არ უნდა გვქონდეს საუბარი, ბუფეტში კი ჯანსაღი საკვები, შესაბამისი ფასებით. ხანდახან ბუფეტში ჭამას ჯობს მთელი დღე მშიერი ვიყოთ. მნიშვნელოვანია სკოლის ინფრასტრუქტურის მოწყობა და ინვენტარიზაციის განახლება, თუმცა ეს ყველაფერი არანაირ შედეგს არ გამოიღებს, თუ სკოლაში არაკვალიფიციური მასწავლებელი ასწავლის“.

* * *

„პირველ რიგში, მინდა ჩემი სკოლის კედლები იყოს ნათელ ფერებში შეღებილი და არა მუქ მწვანეში ან ლურჯში... მასწავლებელი მხიარული და ღიმილიანი სახით უნდა შემოდიოდეს კლასში და არა მოღუშული, რომლის დანახვაც არ გსიამოვნებს და გაკვეთილზე ყოფნის ხალისს გიკარგავს. ზომიერად მკაცრი უნდა იყოს და გასაგები ენით ხსნიდეს გაკვეთილს. თუ მოსწავლე რაიმეს ვერ გაიგებს, არ უნდა დაეზაროს ცალკე აუხსნას, რათა მასალას არ ჩამორჩეს. გაკვეთილი 45-წუთიანია, ხშირად მასწავლებლები ვერ ასწრებენ გაკვეთილის დასრულებას და იყენებენ დასვენების წუთებს, ეს არ შეიძლება, თუ ვერ ასწრებს ეს ჩვენი პრობლემა არ უნდა იყოს. სკოლის ეზო კომფორტული, კარგად მოწყობილი მინდა იყოს. ეზოში უნდა დამონტაჟდეს ტრენაჟორები. სკოლაში ძალიან ბევრი რამ შესაცვლელი და გასათვალისწინებელია“.

* * *

„იცით ყველაზე მეტად რა არ მომწონს? სკოლაში განგვსაზღვრავენ არა პიროვნულად, არამედ ნიშნებით. მე თუ საგანს ვერ ვსწავლობ, ესე იგი ცუდი ვარ – არარაობა. არის საგანი, რომელიც არ მომწონს, ან ვერ ვიგებ – დამატებით კი არ გიხსნიან. სკოლაში მე-10 კლასიდან საგნები არჩევით უნდა ისწავლებოდეს. იმ საგნების სწავლა, რომელსაც ვერ ვიგებ და არ შემიძლია, დანამდვილებით ვიცი, რომ არ გამომადგება და ფუჭად დროის კარგვაა, ზედმეტი სტრესია, დამიჯერეთ, მართლა ასეა. იცით რამხელა წნეხის ქვეშ ვართ იმ საგნების გამო, რაც არ გამოგვდის? მაგალითად სამხრეთ კორეა ავიღოთ. იქ სუიციდის დონე მაღალია. რატომ? პასუხი განათლების სისტემაა. მოსწავლეებს ტანჯავთ იმ საგნების სწავლა, რომლის დაძლევაც არ შეუძლიათ, ნერვიულობენ გამოცდაზე და არც მშობლები და არც მასწავლებლები მხარს არ უბამენ, მხოლოდ იმას ეუბნებიან, რომ უნდა ისწავლონ, უნდა ჩააბარონ, არადა არ გამოსდით. აქაც ასეა, რაც არ შეიძლება. იმედია მაღალ კლასებში არჩევით საგნებს შემოიტანენ და ამით „ყელიდან მარყუჟს მოგვხსნიან“.

* * *

„ძალიან მომწონს ამერიკული სკოლები, სადაც სუფთა, მოწესრიგებული, თანამედროვედ გარემონტებული კლას-კაბინეტებია. ვისურვებდი, სკოლის დერეფნებში მოსწავლეების ნამუშევრები იყოს გამოფენილი, გვქონდეს ნივთების შესანახი კარადები. ტუალეტში ელემენტარული ჰიგიენის ნორმები იყოს დაცული და საკლასო ოთახებში არ შემოდიოდეს არასასიამოვნო სუნი. ბუფეტში დაბალი ფასები და ხარისხიანი საკვები იყიდებოდეს.

საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეს თავისუფლად უნდა შეეძლოს საკუთარი აზრის გამოთქმა, არ უნდა ვიყოთ მოქცეული ჩარჩოებში და უნდა გვქონდეს უფლება მოცემული თემიდან გადახვევის. მოსწავლეს უნდა შეეძლოს მასწავლებელთან რაიმე თემასთან დაკავშირებით თავისუფლად საუბარი, თუნდაც კამათი, რის შემდეგაც მასწავლებელი მას არ ამოიჩემებს და არ გადაეკიდება. კარგი იქნება, თუ გვექნება საშუალება თანაკლასელებთან ერთად ვუყუროდ თემატურ ფილმებს. ან სკოლაში ხშირად სტუმრად იწვევდნენ ისეთ ადამიანებს, რომლებიც საინტერესონი, კომპეტენტურები არიან. საგაკვეთილო პროცესი დებატების სტილში უნდა მიმდინარეობდეს. მასწავლებელმა მოსწავლეებს თუნდაც იშვიათად მაგრამ მაინც მისცეს იმის საშუალება, რომ წარმართონ საგაკვეთილო პროცესი, ასე უფრო საინტერესო იქნება და გარკვეული ვალდებულებები და პასუხისმგებლობის განცდა ჩამოგვიყალიბდება. სასურველია, არ გვიწევდეს წიგნების სკოლაში ტარება, ამით ჩვენს ჯანმრთელობას გავუფრთხილდებით“.

* * *

„სკოლაში ჯანსაღი ცხოვრების წესს ნაკლები ყურადღება ექცევა. სპორტის გაკვეთილებზე თითქმის ტყუილად ვზივართ ან ბიჭები თამაშობენ ფეხბურთს. ჩემი სურვილია, სპორტს მეტი ყურადღება დაეთმოს, ყველა სკოლას ჰქონდეს სპორტული ინვენტარი, შესაბამისი ფორმები გვეცვას, გვქონდეს საშუალება სპორტის უამრავი სახეობიდან ვითამაშოთ რომელიმე – ჩოგბურთი, ფრენბურთი ან ბადმინტონი, მაგიდის ტენისი... და რა ვიცი კიდევ რამდენი შეიძლება ჩამოვთვალო. თუ სპორტის გაკვეთილების შეცვლა არ მოხერხდება, მაშინ რა საჭიროა საერთოდ, ისეთი საგანი, რომელიც ფუჭად დროის ხარჯვაა და მეტი არაფერი. ჩვენს სკოლაში ისეთი ბავშვები სწავლობენ, რომლის ოჯახებს არ აქვთ იმის საშუალება, რომ ეცვათ ახალი და ლამაზი ტანსაცმელი, რის გამო ისინი იჩაგრებიან, ამიტომ მინდა სკოლაში იყოს ფორმები, რათა ყველანი თანასწორნი ვიყოთ“.

* * *

„მასწავლებლებს მოსწავლეებთან თბილი ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ. პედაგოგი მომთხოვნი უნდა იყოს, მაგრამ არა ძალიან მკაცრი. მოსწავლის საქციელით გაბრაზებულმა მასწავლებელმა „ცხელ გულზე“ არადამაკმაყოფილებელი ნიშანი არ უნდა დაწეროს. მოსწავლეები აკადემიური მოსწრების გამო არ უნდა იყოფოდნენ ცუდ და კარგ მოსწავლეებად. ჩემს სკოლაში ასევე დღის წესრიგში არ დგას სასადილოს თუ საპირფარეშოების საკითხი. ბუფეტში ისეთი ფასებია, ადამიანს ჭამა აღარ მოუნდება. არის დღეები, როცა დილით კლასი დაულაგებელი გვხვდება. რაც შეეხება ექიმს, ხშირად, ექიმს კაბინეტში არ აქვს ტკივილგამაყუჩებელი ან სხვა რაიმე საჭირო წამალი, თუ მუცელი გტკივა, ან თავი, ან ფეხი, შენი მკურნალი აუცილებლად ნახშირი იქნება, რომელიც თურმე მუცლის, თავის, კუნთების , ყურის ტკივილის დროს უებარი წამალი ყოფილა. თუ სიცხე გაქვს და ექიმს სახლში გაშვებას სთხოვ, იმდენ ადგილზე გინევს ნებართვის აღება, რომ შეიძლება დაღლილობისგან და სიცხისგან სადმე გული წაგივიდეს. ვერ ვხვდები რა საჭიროა ასეთი ექიმის კაბინეტის სკოლაში არსებობა? ჩემთვის სასურველი სკოლა ისეთია, სადაც ამდენი პრობლემები არ არის“.

* * *

„ჩემი სკოლის შენობა ყვითელია, რაც ძალიან არ მომწონს. სამწუხაროდ, ისეთივე უსახური, უშინაარსო გარემოა სკოლაშიც, როგორიც მისი კედლების ფერია. ჩემი სკოლა რადიკალურად განსხვავდება წინა წლებისგან. დღეს სკოლაში მანდატურები არიან, რომელთა დანიშნულება, სიმართლე გითხრათ, არ მესმის... მეთორმეტე კლასში არავინ დადის, სამწუხაროდ, მოსწავლეებს მასწავლებლების პატივისცემა არ აქვთ.

სკოლას არ აქვს კეთილმოწყობილი ეზო, სადაც გართობას და დასვენებას, თამაშს შევძლებდით. ხშირად ვფიქრობ სკოლის თემაზე, რა შეიძლება შეემატოს. პირველ რიგში, მასწავლებლების საკითხია მოსაგვარებელი, სკოლაში ბევრი ისეთი მასწავლებელი ასწავლის, რომლებიც ბავშვებზე გადაკიდებულები არიან. არ შეიძლება, ჩასაფრებული იყო მოსწავლის მიმართ და სულ ცუდს ხედავდე მასში, არ უნდა დაამცირო მოზარდი კლასის წინაშე. სკოლის ინტერიერი, ინვენტარი, საკლასო ოთახები, საპირფარეშოები და ბუფეტი მართლაც სავალალო მდგომარეობაშია. ჩემი ნება რომ იყოს, სკოლაში გავაძლიერებდი ექიმის კაბინეტს, ჩვენს ექიმს იშვიათად თუ აქვს ის წამალი, რომელიც რეალურად გვესაჭიროება. მოვაწესრიგებდი სკოლის ბუფეტს, შემოვიტანდი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს და ფასებსაც დაბალს დავადებდი, რათა მოსწავლეებისთვის ყოველდღიურად ხელმისაწვდომი ყოფილიყოს საკვები. სპორტის მხრივ, არა მარტო ჩემს სკოლაში, სხვაგანაც ძალიან ცუდი მდგომარეობაა. მხოლოდ კალათბურთის და ფეხბურთის თამაში შეგვიძლია. ჩემი ნება რომ იყოს, სკოლაში დავამატებდი ისეთ საგანს, სადაც ხელსაქმეს გვასწავლიდნენ, მაგალითად ხეზე კვეთას. ეზოს გავამწვანებდი“.

* * *

„ჩემი სასურველი სკოლა სრულებით განსხვავდება არსებულისგან. ჩემს წარმოსახვაში სულ სხვანაირი წარმომიდგენია კარგი სკოლა. ჩემი ნება რომ იყოს, პირველ რიგში, განათლების სისტემაში რეალურ ცვლილებებს შევიტანდი, შევქმნიდი არაერთ შემეცნებით, გასართობ და მოსწავლეების მჭიდრო კავშირის შექმნაში ხელშემწყობ შიდა ორგანიზაციებს, პროგრამებს, წრეებს, ამ ყველაფრის შექმნაში აუცილებელია მოსწავლის აზრის გათვალისწინება და რეალური სურვილების ხორცშესხმა. კმაყოფილ და ბედნიერ მოსწავლეებში ნაკლები შესაძლებლობაა დაპირისპირება წარმოიშვას. მასწავლებელი ობიექტური უნდა იყოს, მოსწავლეები ცუდი ნიშნის შიშით არ უნდა სწავლობდნენ, მათ უნდა აინტერესებდეთ საგანი. სკოლაში უნდა იყოს კარგი ბიბლიოთეკა, თანამედროვე ლიტერატურითა და ტექნიკით აღჭურვილი, მოწესრიგებული საპირფარეშოები და საკლასო ოთახები, უმაღლეს დონეზე უნდა იყოს დაცული ჰიგიენის ნორმები და მოსწავლეთა უსაფრთხოება. ბუფეტში ისეთი საკვები უნდა იყიდებოდეს, რომლითაც ბავშვები არ მოიწამლებიან. პირველ რიგში, სკოლაში უნდა ასწავლიდნენ მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი მასწავლებლები. საგაკვეთილო პროცესი დაძაბულ გარემოში არ უნდა მიმდინარეობდეს“.

* * *

„სკოლაში მოსწავლეებს შორის ხშირია კონფლიქტები. ხშირად ისინი არ ითვალისწინებენ თანატოლების გრძნობებს და განცდებს დასცინიან, რის გამოც მათ ხშირად კომპლექსი უჩნდებათ. ამ კონფლიქტების აღმოსაფხვრელად მანდატურები შემოიყვანეს სკოლაში, რომლებიც წესით უნდა ზრუნავდნენ მოსწავლეების უსაფრთხოებაზე, მაგრამ ხშირად ასე არ არის. პრობლემებს ისინი ვერ აგვარებენ. მაღალ კლასებში მოსწავლეს და მასწავლებელს შორის ურთიერთობა იძაბება, მასწავლებლები გვაშინებენ გამოცდებით. ზოგ მასწავლებელს რატომღაც ჰგონია, რომ ავტორიტეტს მოსწავლეებში, მუქარით, ჩხუბით, ყვირილით და დაბალი ნიშნების დაწერით მოიპოვებს“.

* * *

„სამწუხაროდ, სკოლაში მოსწავლეებს შორის არ არის თბილი, მეგობრული დამოკიდებულება. მოსწავლეები რატომღაც სულ ცდილობენ ერთმანეთის გაღიზიანებას, დაცინვას. კარგი იქნებოდა სასკოლო ფორმების შემოღება, რადგან ყველას არ აქვს საშუალება კარგად ჩაიცვას. ჩემი უკმაყოფილების მიზეზი სკოლის ბუფეტია, სადაც არც სისუფთავეა და საკვებიც არაჯანსაღი. ვისურვებდი კვების რაციონში ყავა და ნაყინი შეეტანათ. როგორც იცით, ყველა ბავშვს უჭირს დილით ადრე ადგომა. ყველასთვის კარგი იქნება, თუ სასწავლო პროცესს 8:30-ის ნაცვლად 10 საათზე დაიწყებენ. მოსწავლეები უფრო დიდი ენერგიით შეუდგებიან სწავლა.“

* * *

„11 წელია სკოლაში დავდივარ და დღემდე ვერ მოვახერხე ამ ადგილის შეყვარება. პატარა რომ ვიყავი, სკოლა სულ სხვანაირი წარმომედგინა, მაგრამ იმედები გამიცრუვდა. ახლა ჩემს ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ეტაპია. მალე სერიოზული გამოცდები დაიწყება და თუ ყველაფერი კარგად იქნება, უნივერსიტეტში ჩავაბარებ. სკოლაში ვსწავლობ რამდენიმე ისეთ საგანს, რომელიც დარწმუნებული ვარ, ცხოვრებაში არ დამჭირდება, არადა ამ საგნების სწავლა ძალიან დიდ დროს მართმევს და ძირითადი საგნების ხარისხიანად მომზადებას ვეღარ ვახერხებ. ვისურვებდი, მაღალ კლასებში საგნები არჩევითი იყოს.“

* * *

„სკოლა ადამიანის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ნაწილია, ის ამ დაწესებულებაში იღებს განათლებას, სწავლობს ადამიანებთან კომუნიკაციას, იძენს ახალ მეგობრებს. მასწავლებელი ჩასაფრებული არ უნდა იყოს მოსწავლის მიმართ. მწყინს, როცა ხშირად ვხედავ თანატოლების დაპირისპირებას. განსაკუთრებით ბიჭებში. სამწუხაროდ ხშირია დაცინვა მოდიდან გადასული ტანსაცმლის ან ძველი მობილურის გამო, რაც ძალიან გულს მტკენს. ეზო უნდა იყოს გამწვანებული, უნდა გვქონდეს საქანელები. ჩემი სკოლა ადრე ერთ-ერთ საუკეთესო სკოლად ითვლებოდა თურმე, მაგრამ დღეს ასე არ არის. ვისურვებდი წინსვლას და არა უკუსვლით სიარულს“.

* * *

„სკოლის უსახურ ნაცრისფერ კედლებს ფერადი, ნათელი ფერებით შევღებავდი და ლამაზი ნახატებით მოვხატავდი. სკოლაში აუცილებელია იყოს ფსიქოლოგი. აუცილებელია მაღალ კლასებში ტარდებოდეს პროფორიენტაციის გაკვეთილები, სადაც ინფორმაციას გავიგებთ პროფესიების შესახებ. ასეთმა გაკვეთილებმა უფრო ხშირი ხასიათი უნდა მიიღოს. ჩემი აზრით, არ არის აუცილებელი ისეთი საგნების სწავლა, რომლებიც არ გვაინტერესებს და არაფერში გვჭირდება, საბაზო საფეხურის დამთავრების შემდეგ მოსწავლეს უნდა ჰქონდეს საშუალება აირჩიოს საგნები.

არ დავიწყებ იმაზე საუბარს, რომ სკოლა 12-წლიანი ტანჯვაა მოსწავლისთვის. მასწავლებლების გარკვეული ნაწილი ასაკოვანია და არ შეუძლია გაკვეთილის ხარისხიანად ჩატარება, კლასის მართვა. სასურველი მასწავლებელი ახალგაზრდა, ენერგიული და თანამედროვედ მოაზროვნე უნდა იყოს, რომელიც კეთილგანწყობილი იქნება მოსწავლეების მიმართ. პირველ რიგში, მასწავლებელი მცოდნე უნდა იყოს, ტექნიკური საგნის მასწავლებელი წიგნში არ უნდა იხედებოდეს ფორმულებისთვის. ბუფეტში საკვები ძვირია, ყოველწლიურად 10 თეთით იმატებს. საკვები უნდა იყოს ხარისხიანი და ფასიც შესაბამისი.

სახელმძღვანელოების განახლება ნამდვილად საჭიროა, ახალი წიგნები სემესტრულად უნდა იყოს გაყოფილი, რათა ჩანთა ზედმეტად მძიმე არ იყოს..

სკოლაში ხშირია ბულინგის შემთხვევები, სადაც მჩაგვრელი არა მარტო მოსწავლეა, არამედ მასწავლებელიც. ისინი უბრალოდ ფიქრობენ, რომ სიტყვა „დებილო“, „ჩერჩეტო“ თავიანთი პროფესიული მოვალეობების ნაწილია. მოსწავლეებს შორის ვერ ვიტყვი, რომ კარგი დამოკიდებულებაა, ხშირია ერთმანეთის დაცინვა, დამცირება. სუსტი მოსწავლე შეიძლება დავიცვა ერთხელ, ორჯერ, მაგრამ მოძალადე რას შეიგნებს, ნავა და სხვას დაჩაგრავს, ამიტომ სკოლაში აუცილებელია ფსიქოლოგი იყოს“.

* * *

„სასწავლო წიგნები, რომლითაც ვსწავლობთ, არის რთული ენით დაწერილი. უმეტესობა გაუგებარია, მაგალითად, ფიზიკის წიგნი, სადაც გაკვეთილები ცდის მიხედვით არის ახსნილი, არადა ცდის ჩატარების საშუალება ჩვენ არ გვაქვს, ამისთვის არ არსებობს არანაირი ხელსაწყო, ინვენტარი. ასევეა მათემატიკის სახელმძღვანელო, სადაც გამოცდებთან შედარებით უფრო რთული ამოცანებია. კარგი იქნება სკოლაში საგნობრივი თვალსაჩინოებებიც გვქონდეს.“

* * *

„მეც ერთ-ერთი მათგანი ვარ, ვისაც ყოველთვის ეზარება, მაგრამ უყვარს სკოლაში მისვლა. ყველა მოსწავლის ოცნებაა ჰყავდეს კარგი, ობიექტური, ზომიერად მკაცრი, მომთხოვნი, განათლებული მასწავლებელი. მას კარგი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს მოსწავლეებთან, სამწუხაროდ, დღეს სკოლებში ისეთი მასწავლებლები ასწავლიან, რომლებსაც არ გააჩნიათ გადმოცემის უნარი და სათქმელი გასაგებად მოსწავლემდე ვერ მიაქვთ. მასწავლებელს უნდა შეეძლოს საგაკვეთილო პროცესის სწორად გათვლა, აუცილებელია დისკუსიები სხვადასხვა საკითხის მიმართ, რათა მოსწავლემ ვერ შეძლოს მოდუნება და გაკვეთილის მსვლელობაში აქტიურად იყოს ჩართული. სკოლის მოდელში უპირველესად უნდა იყოს პროფილური სწავლება, მეათე კლასიდან. ამაზე განათლების სამინისტრომ უნდა იმუშაოს. ასეთი მოდელი გააუმჯობესებს სწავლების ხარისხს.

ევროპისა და ამერიკის სკოლებში მოსწავლეები ორიენტირებული არიან განათლების მიღებაზე, ნიშანი მეორეხარისხოვანია. თუკი გვაქვს ამბიცია, რომ ჩვენც ევროპის ნაწილი ვართ, მაშინ გადმოვიღოთ და მოვირგოთ ევროპული მოდელი. მომავალში მე თუ მასწავლებელი გავხდები, ვეცდები ჩემი გაკვეთილი ისეთი საინტერესო იყოს, რომ მოსწავლეებს ყოველ წუთში საათისკენ არ გაურბოდეთ თვალი. უპირველესად, რასაც სკოლაში შევცვლიდი, არის საგაკვეთილო ფორმატი. ის, რომ მთელი გაკვეთილი მასწავლებელიც და მოსწავლეც ორიენტირებულია მხოლოდ ნიშანზე, ძალიან მოსაბეზრებელი და რეალურად არაფრისმომცემია, რადგან ნიშნები მაღალ კლასებში აღარ არის მოტივატორი და მნიშვნელობაც ეკარგება, მაღალ კლასებში უფრო მნიშვნელოვანი ცოდნის მიღებაა და არა ნიშნის. გაკვეთილიც, სადაც მასწავლებელი ორიენტირებულია იმაზე, რომ ყოველი ახალი გაკვეთილით რაღაც ახალი შეგძინოს და გასწავლოს ის, რაც ძირითადია, ბევრად უფრო ხარისხიანია, ეფექტიანი, ვიდრე გაკვეთილი, სადაც მხოლოდ გამოკითხვა/გამოძახება ხდება სისტემატურ რეჟიმში. ჩემი აზრით, გაკვეთილი, რომელიც მიმდინარეობს კითხვა-პასუხის ან დებატებისა თუ მსჯელობის რეჟიმში გაცილებით მაღალი ხარისხისაა, ვიდრე მშრალი გაკვეთილები, სადაც ნიშნისთვის გამოკითხვა ხდება მხოლოდ. სკოლაში უნდა არსებობდეს დებატების კლუბები, თეატრალური და ლიტერატურული წრეები“.

**მოამზადა მაკა ყიფშიანმა**

კვლევა

# თინეიჯერთა (ნინველთა) პრობლემები ანუ რატომ ვერ ვწერთ უკეთესად...

*თბილისი-ფოთი*
*კრიტიკული მეგობრები*
*ლია გოგოხია და ლეილა ხონელიძე*

დღეს უამრავი პრობლემაა სკოლაში და ერთ-ერთი ყველაზე თვალშისაცემი ***მოსწავლეთა თხზულებების წერის კულტურის დაბალი დონეა.*** მოსწავლეებს უჭირთ ღია დაბოლოებიან კითხვებზე პასუხის გაცემა. მათი უმრავლესობა თავს არიდებს თხზულების წერას, შემოხაზავს მხოლოდ დახურული კითხვის პასუხებს, რადგან თვლის, რომ მსგავსი ტიპის კითხვებზე პასუხის გაცემის შემთხვევაში გადალახავს ზღვარს. ჩვენი სკოლის მოსწავლეებს არ უჭირთ აზროვნება, ლოგიკური მსჯელობა, თუმცა, უჭირთ აზრის, სათქმელის წერილობით გამოხატვა გამართული, ენობრივად დახვეწილი ფორმით. სწორედ ამიტომ, ყველაზე მეტად უჭირთ ნერითი დავალების (თხზულების) შესრულება. წერითი დავალებით კი მოწმდება დამოუკიდებელი აზროვნება და არგუმენტირების უნარი. ჩვენი მოსწავლეები ფლობენ წერის ტექნიკას, აზროვნებენ სიღრმისეულად, თუმცა მსჯელობა სქემატურია, მოკლე და ლაკონიური, წერითი კულტურა უკიდურესად დაბალია, სიტყვათა მარაგი – მწირი, სტილი – საკანცელარიო. თავს ვერ არიდებენ კლიშეებისა და ბანალური ფორმულირების გამოყენებას. მათი ნამუშევარი სტილისტურად დაუხვეწავია, არ შეუძლიათ სინონიმების აქტიური გამოყენება, ასევე არ შეუძლიათ მოიყვანონ სხვა ავტორების ქმნილებიდან მოხმობილი ანალოგიები თუ არგუმენტაციები. ეროვნული გამოცდებისთვის კი იმგვარი წერითი დავალებებია შედგენილი, რომ ორი სხვადასხვა ნაწარმოების ურთიერთშეპირისპირებით ანალიზს მოითხოვს. ანალოგიური პრობლემა დგას სხვა სკოლებშიც და მისი გამომწვევი მიზეზებიც იდენტურია. ამიტომ შევეცადეთ ორი სკოლის მონაცემთა საფუძველზე გაგვერკვია, თუ რატომ დგას ეს პრობლემა სკოლებში. როგორც ჩანს, ***ლექსიკური მარაგის სიმწირით გამოწვეული პრობლემების მთავარი მიზეზი წიგნიერების დაბალი დონეა:***
***ა) მოსწავლეები ცოტა დროს უთმობენ მხატვრული ლიტერატურის კითხვას;***
***ბ) კითხულობენ მხოლოდ ნათარგმნ, ძირითადად, უხარისხოდ ნათარგმნ ლიტერატურას და ამიტომ მწირია მათი ლექსიკა;***
***გ) მრავლადაა სიტყვათა არაადეკვატური გამოყენების შემთხვევები;***
***დ) უჭირთ დიდი მოცულობის ტექსტის კითხვა, დიდხანს უნდებიან კითხვას, ბეზრდებათ, ხშირად ანალიზის ნაცვლად შინაარსს გადმოსცემენ, ვერ ახერხებენ დავალების მითითების მიხედვით თანმიმდევრულ მსჯელობას, თხზულების გამთლიანებასა და ტექსტის სათანადო ორგანიზებას.***

***რამ გამოიწვია მოსწავლეთა გაუცხოება წიგნების მიმართ.*** ეს საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით კი სიტყვიერების მასწავლებლისთვის. სწორედ მოსწავლეთა წიგნიერების დონის ასამაღლებლადაა საჭირო საფუძვლიანად გამოვიკვლიოთ ამ ***პროცესის შემაფერხებელი მიზეზები. რას და როგორ, რა ინტენსივობით კითხულობენ*** ჩვენი მოსწავლეები, რატომ არის მათი ლექსიკა მწირი, რატომ ვერ ახერხებენ თხზულების წერას, რა სიხშირით გამოჰქონდათ სკოლის ბიბლიოთეკიდან წიგნები და ა.შ. შევხვდით ჩვენ-ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკარებს, გავეცანით მოსწავლეთა ფორმულარებს, შევადგინეთ კითხვარი, თუ რას და როგორ კითხულობენ ჩვენი მოსწავლეები. გავიარეთ კონსულტაციები ქართული ენისა და ლიტერატურის ყველა მასწავლებელთან. სკოლის ბიბლიოთეკართან საუბარმა და მოსწავლეთა ფორმულარების გაცნობამ მოგვცა ფრიად არასახარბიელო დასკვნების გაკეთების საშუალება:
ა) აღმოჩნდა, რომ მოსწავლეთა ძალიან დიდ ნაწილს, თუმცა კი ფორმულარი გახსნილი აქვს, მაგრამ რამდენიმე წელია, არაფერი გაუტანია სკოლის ბიბლიოთეკიდან;
ბ) წაკითხული წიგნების ჩამონათვალი, უმეტესწილად, ერთმანეთის იდენტური იყო ორივე სკოლის მოსწავლეებში;
გ) წაღებული წიგნების სია მწირი იყო და ჟანრობრივი მრავალფეროვნებაც, შესაბამისად, არ გამოირჩეოდა.
დ) ხშირად ადვილი გამოსაცნობი იყო, ამა თუ იმ წიგნის გატანის დროს რა მასალას გადიოდნენ ბავშვები ქართულ ენასა და ლიტერატურაში (გაჰქონდათ იმ მწერლების შესახებ დაწერილი ბიოგრაფიული წიგნები, რომელთა შემოქმედებასაც გადიოდნენ).
ე) ამ ფორმულარებში ძნელი „დასანახი“ იყო ინდივიდი, რომელსაც გარკვეული ჟანრის, ეპოქის, მწერლის და ა.შ. ლიტერატურა მოსწონს და იზიდავს.

დაკვირვების შედეგებმა ბევრ რამეზე დაგვაფიქრა, თუმცა მათგან მიღებული დასკვნები მეტ-ნაკლებად შეიცვალა მოსწავლეებთან საუბრის (***ინტერვიუს***) შემდეგ, რადგან აღმოჩნდა, მათი ნაწილი (და საკმაოდ დიდი ნაწილი) ბიბლიოთეკის წიგნებით არ სარგებლობს იმიტომ, რომ შინ არანაკლები ბიბლიოთეკა აქვს, რადგან ბიბლიოთეკას უამრავი სიახლიდან მხოლოდ მცირედის შეთავაზება შეუძლია, სამწუხაროდ.

ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად კითხვები დავუსვით ფოთის ილია ჭავჭავაძის სახელობის მე-5 საჯარო სკოლისა და და ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებს, შედეგები განვაზოგადეთ... და რა საოცარიც არ უნდა იყოს, ფოთსა თუ თბილისში თინეიჯერები ერთნაირად კითხულობენ, უფრო – არ კითხულობენ სწორად, სისტემურად.

**აი, კითხვარიც:**
1. რა ჟანრის ლიტერატურას კითხულობთ?
2. რის მიხედვით არჩევთ წიგნებს? (მთავარი კრიტერიუმი წიგნის შერჩევისას)
3. რა მიზნით კითხულობთ წიგნებს?
4. რა სიხშირით კითხულობთ წიგნებს?
5. სად კითხულობთ?
6. რა რაოდენობის წიგნებს კითხულობთ ელექტრონული ფორმით?
7. წიგნი, რომლის კითხვაშიც ღამე გაგითენებიათ
8. თქვენი პირველი წიგნი
9. წიგნი, რომელსაც ახლა კითხულობთ
10. თუ ამოგიწერიათ წიგნიდან ციტატები
11. წერა რომ შეგეძლოთ, რაზე დაწერდით წიგნს?
12. თქვენი აზრით გაუვიდა თუ არა ყავლი კლასიკურ ნაწარმოებებს?
13. რომელ გმირთან გააიგივებდით თავს?
14. წაგიკითხავთ თუ არა ერთი და იგივე წიგნი რამდენჯერმე?

***გულწრფელობის ხარისხი რომ მეტი ყოფილიყო, მოსწავლეებს მივეცით საშუალება, ანონიმურადაც ეპასუხათ კითხვებისათვის*** (რა თქმა უნდა, სურვილის შემთხვევაში).
1. აღმოჩნდა, რომ მოსწავლეთა უმეტესობა კითხულობს დეტექტივებს;
2. შესაბამისად, წიგნსაც იმიტომ ირჩევენ, რომ დეტექტივის ჟანრს განეკუთვნება, მხოლოდ ორმა მოსწავლემ ჩათვალა, რომ რეჟისორები კლავენ წიგნს და ამიტომ ჯერ წიგნი უნდა წაიკითხო და მერე იმ წიგნზე შექმნილი ფილმი, თუ, რა თქმა უნდა, ამ ნაწარმოებზე არის ფილმი გადაღებული;
3. უმრავლესობა მიიჩნევს, რომ წიგნებს კითხულობს ზოგადი ცოდნის გასამდიდრებლად, მეტი წიგნიერებისთვის, ერთმა მე-10 კლასელმა გვიპასუხა: „წიგნებს ვკითხულობ დროის გასაყვანად, მაგრამ რაღაც მომენტში ვხვდები, რომ კითხვა თავის შეცნობის სხვანაირ საშუალებას მაძლევს. ეს კი მეხმარება ცხოვრებას უფრო გაბედულად შევხედო თვალებში“;
4. ბუნებაში წიგნის კითხვას ანიჭებს უპირატესობას – 20, სახლში – 120, ტრანსპორტში – 10, გაკვეთილზე ჩუმად – 30, „ბიბლუსის კაფეში“ – 5, ბიბლიოთეკაში – 15;
5. 27 მოსწავლე კითხულობს, როცა თავისუფალი დრო აქვს, ყოველდღე – 42, უმეტესობა წიგნებს ელფორმით კითხულობს – 47; არ კითხულობს ელექტრონულად, (თვალებს მტკენს, გულს ვერ ვუდებ ელექეტრონულ ფორმატს. მაგალითად „ომი და მშვიდობას“ კომპიუტერში ვერ წაიკითხავ) – 42, იშვიათად კითხულობს – 27;
6. წიგნის კითხვაში არ ათენდება 152 მოსწავლეს, იმ წიგნის კითხვაში, რომელიც მოსწონს, ათენებს – 41, ეგრე არც ერთი წიგნი არ მოსწონებია, რომ კითხვაში დასთენებოდა – 7 მოსწავლეს;
7. მოსწავლეების მიერ პირველად წაკითხულ წიგნებს შორის დასახელდა: პეპი გრძელწინდა – 23, კარლსონი – 30, შერლოკ ჰოლმსი – 1, ყინულის სფინქსი – 1, საბავშვო ბიბლია – 10, ბრემ სტოკერის დრაკულა – 1, მე, პეტრე და ატომები – 1, გიკი გოგო (ჰოლი სმეილი) – 1, მე, ბებია, ილიკო და ილარიონი – 22, ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი – 2, დევიდ კოფერფილდი – 1, კრისტეფორე კოლუმბის მოგზაურობა – 1, რობინზონ კრუზო – 1, ლურსმანა (ზღაპარი) – 1, კომბლე – 10, სალამურას თავგადასავალი – 5, სამი მუშკეტერი – 2, კაპიტან გრანტის შვილები – 3, ალისა საოცრებათა ქვეყანაში – 1, ბიძია თომას ქოხი – 7, ჩიპოლინო – 7, ნილსისა და გარეული ბატების მოგზაურობა – 1, მეფე ლომი (სიმბა) – 3, ძმები ლომგულები – 1, ტომ სოიერის თავგადასავალი – 4, არ ახსოვს რომელი წიგნი წაიკითხა პირველად – 50 მოსწავლეს. ბოლომდე წაუკითხავ და ყველაზე მოსაწყენ წიგნებად ჩათვალეს დეფიდ კოფერფილდი და დონ-კიხოტი;
8. დამაჯერებლად მივიჩნიეთ იმ ოთხი ბავშვის პასუხი, რომლებსაც არ ახსოვდათ, თუ რომელი წიგნი წაიკითხეს პირველად, ვიდრე იმ ბავშვისა, რომელმაც პირველად წაკითხულ წიგნად „მე, პეტრე და ატომები“ დაასახელა;
9. ამჟამად წიგნს არ კითხულობს – 65 (კომაროველებმა კვლავ მოიმიზეზეს ქვიზების ციებცხელება); როულინგი – ჰარი პოტერს კითხულობს 16 მოსწავლე; ფრანით მორბენალს – 1; ბიჭი ზოლიან პიჟამაში – 1; ბრედბერი – ბედნიერების მექანიზმს – 2; კოელიო – თერთმეტ წუთს – 1; დათო ტურაშვილის „ჯინსების თაობას“ – 35; შტეფან ცვაიგის „უცნობი ქალის წერილს“ – 1; რემარკის „სამ მეგობარს“ – 1; სტეფანე მეიერის „ბინდს“ – 5; მაინ რიდის „უთავო მხედარს“ – 1; რიჩარდ ბახის „თოლია სახელად ჯონათან ლივინგსტონს“ – 5; ერიკ-ემანუელ შმიტის „სუმოისტი, რომელიც ვერ სუქდებოდას“ – 1; „ანა ფრანკის დღიურს“ – 10; ჰარჰერ ლის „ნუ მოკლავ ჯაფარას“ – 2; „წიგნის ქურდს“ – 4; „შიმშილის თამაშებს“ – 5; „შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალს“ – 1; ფიზიკა და ფიზიკოსებს – 1; ატომურ ფიზიკას – 1; წიგნებს პროგრამირებაზე – 2; „ცხოველების ფერმას“ – 1; ბინდი-2-ს – 1; „დორიან გრეის პორტრეტს“ – 1; გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველს“ – 1; „ზებულონს“ – 1. აბიტურიენტებიდან 34-მა დაასახელა პროგრამული ნაწარმოებები: მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ – 13; კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“ – 10; ნიკო ლორთქიფანიძის „შელოცვა რადიოთი“ – 4 (აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზოგი მათგანი ვერ ასახელებს წაკითხული წიგნის ავტორს);
10. ციტატებს იწერს – 76, იმახსოვრებს და ციტატის ჩაწერის საჭიროებას არ ცნობს – 124;
11. წიგნის წერა რომ შეეძლოთ – 3 დაწერდა წიგნს ელექტროინჟინერიაზე; სკოლასა და თანამედროვე თინეიჯერებზე – 25; ფიზიკის გამართულ სახელმძღვანელოს ქართულ ენაზე – 2; ადამიანის სხეულის ილუსტრირებულ ატლასს – 1; პოლიტიკაზე – 6; მეგობრობასა და სიყვარულზე – 55; დეტექტივს, ამბავს, რომელიც ბავშვებს გადახდათ – 122;
12. 110 მოსწავლე მიიჩნევს, რომ კლასიკურ ლიტერატურას გაუვიდა ყავლი, ხოლო 90 მათგანი თვლის,რომ კლასიკურ ლიტერატურას აქტუალობა არ დაუკარგავს;
13. ძალიან საყურადღებოდ მოგვეჩვენა შემდეგი პასუხები: „გულში, სულსა და ცხოვრებაში სიცარიელის შესავსებად“. „იმისთვის, რომ ვიპოვო ისეთი წიგნი, რომლის დამთავრება დამენანება“. „საკუთარი თავის შესაცნობად“... „ახალი სამყაროს გასაცნობად“. „უკეთესად გახდომისთვის“;
14. კითხვაზე: „რომელ გმირთან გააიგივებდით საკუთარ თავს“, 1 მოსწავლე პასუხობს, რომ რობინზონ კრუზოსთან (რობინზონ კრუზო); ტარზანთან (ტარზანი) – 1; ჰოლდენ კოლფილდთან ( თამაში ჭვავის ყანაში) – 1; ფორთოხლის გოგონასთან (ფორთოხლის გოგონა) – 11( თითქმის ყველა გოგოს სურს ფორთოხლის გოგოობა); ჯეინ ეართან (ჯეინ ეარი) – 3; ლიზელთან (წიგნის ქურდი) – 2; ჟურნალისტ გოგონა ანდრეასთან (ეშმაკს აცვია პრადა) – 6; კასანდრა კლერთან (მწერალთან გააიგივა თავი) – 2; ჰარი პოტერთან – 13; ვიტო კორლეონესთან (ნათლია) – 23 (ბიჭების პასუხი);
15. წაუკითხავთ თუ არა ერთი და იმავე წიგნი რამდენჯერმე, 30 მოსწავლე პასუხობს, რომ წაიკითხა დათო ტურაშვილის „ჯინსების თაობა“, ბიჭების უმრავლესობას მოსწონს „ნათლია“ – 80; 90-ს არ გასჩენია სურვილი წიგნის მეორედ წაკითხვისა.

აღსანიშნავია, რომ მოსწავლეებმა მოგვაწოდეს იმ წიგნების სია, რომელსაც სთავაზობდა კონკურსი „წიგნიერი“. კონკურსის პირობების თანახმად, მათ კვირაში ერთი წიგნი უნდა წაეკითხათ და უნდა ეპასუხათ ღია დაბოლოებიანი კითხვებისათვის, რომლებიც მხოლოდ ცოდნაზეა ორიენტირებული, ხოლო რაც შეეხება, ანალიზს, სინთეზს, გააზრებას, ისინი ასეთ სწრაფ ტემპში, როგორც შემდეგ მათთან საუბრისას გავარკვიე, ვერ ასწრებდნენ, რადგან ზოგი ნაწარმოების ავტორი ვერ გაიხსენეს.

**სულ 200-მა მოსწავლემ გასცა პასუხი კითხვებს.**
**პასუხები არც თუ ისე სახარბიელო აღმოჩნდა.**
1. ***მართალია, შეინიშნება ჟანრობრივი მრავალფეროვნება, მაგრამ კიდევ ერთხელ დადასტურდა, თუ რა უსისტემოდ კითხულობენ ჩვენი მოსწავლეები;***
***2. მოსწავლეები უპირატესობას ანიჭებენ ადაპტირებულ (გამარტივებულ) ტექსტებს, რომლებიც არ არის გადატვირთული პეიზაჟის აღწერით, მხატვრული ხერხებით: მეტაფორებით, სიმბოლოებით... არ იწერენ ციტატებს, გადმოსცემენ მხოლოდ შინაარსს, ვერ უკავშირებენ ავტორის მოღვაწეობის პერიოდს ნაწარმოებში აღწერილ პერიოდთან. ვერ იაზრებენ ავტორის მთავარ სათქმელს, თუ რას ისახავდა მიზნად. ვერ ერკვევიან თემასა და იდეაში. წაკითხულს წერილობით ვერ აყალიბებენ. შესაბამისად ვერ ახერხებენ არსებითი მსჯელობის გაშლას დავალების პირობაში მითითებული საკითხების შესახებ;***
3. ***მწირია მოსწავლეთა ლექსიკური მარაგი;***
**4. წაკითხულის შემდეგ მოსწავლეები პასუხობენ მხოლოდ ღია დაბოლოებიან კითხვებს, რომლებიც მხოლოდ ცოდნაზეა ორიენტირებული, ხოლო რაც შეეხება ანალიზს, სინთეზს, გააზრებას, ისინი ვერ ახერხებენ;**
**5. კვლევის მონაცემთა აღწერამ ისიც გამოაშკარავა, რომ გადაჭარბებულია იმის თქმა, თითქოს მოსწავლეები არაფერს კითხულობენ. ქართული წიგნები არსად არ ჩანს, გარდა დავით ტურაშვილისა და გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველისა“, ერთმა დაასახელა რომანი „ზებულონი“ (ჯემალ ქარჩხაძე), თუმცა არ ახსოვდა მწერლის გვარი.**

**ერთი უმთავრესი პრობლემათაგანია, მოსწავლეებს შევურჩიოთ თავიანთი ასაკის შესაფერისი ლიტერატურა, მაგრამ ამასთანავე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მივანიჭოთ მათ თავისუფლება, თავადვე განსაზღვრონ, რომელი ჟანრის ლიტერატურა იზიდავთ. ჰყავდეთ საყვარელი ავტორი ან პერსონაჟი, რომელიც შეიძლება სრულიად განსხვავებული აღმოჩნდეს ჩვენი საყვარელი ავტორებისა და პერსონაჟისაგან. არ ავუკრძალოთ საკუთარი შეხედულება ჰქონდეთ ამა თუ იმ პერსონაჟსა თუ ავტორზე. მივაჩვიოთ არა მხოლოდ კითხვას, არამედ ტექსტის საფუძვლიან გაანალიზებას. განვუვითაროთ პრობლემის ხედვისა და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრის უნარი.**
ა) მასწავლებლებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ რთული ნაწარმოების ტექსტზე მუშაობას, ტექსტის არა მარტო მხატვრული თვალსაზრისით გაანალიზებას, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ***მოსწავლეთათვის ძნელი სიტყვების მნიშვნელობების ახსნას,*** რომელთა რიცხვიც, სამწუხაროდ, ბევრად აღემატება სასკოლო სახელმძღვანელოების სქოლიოებში განმარტებული სიტყვების რაოდენობას.
ბ) თუ თანამედროვე ლექსიკურ-სემანტიკურ ტენდენციებს გავითვალისწინებთ, აუცილებლად საჭიროდ გვეჩვენება ***მუშაობის გააქტიურება ლექსიკაზე.*** დღეს, ნეოლოგიზმებისა და ჟარგონის აქტიური მოჭარბება-მოძალების პირობებში განსაკუთრებით საყურადღებო და საფრთხილოა მათი გამიჯვნის, სპეციფიკისა და ადგილის საკითხის გარკვევა და მოსწავლეთათვის სწორი ენობრივი ორიენტაციის მიცემა.
გ) მოსწავლე უნდა ***იცნობდეს ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს, აგრეთვე სინონიმთა და უცხო სიტყვათა ლექსიკონებს, შეეძლოს არა მარტო მათი მოხმარება, არამედ ამ მოხმარების საჭიროების განსაზღვრაც.***

## კვლევა

დ) ყურადღება უნდა დავუთმოთ სიტყვის მნიშვნელობაზე მუშაობას, განსაკუთრებით კი ***პარადიგმატული შესაძლებლობების დადგენას.*** ესა თუ ის სიტყვა რა ჯგუფის სიტყვებთან ქმნის მართებულ შესიტყვებებს, რომლის ძიების პროცესი თანდათან და ადვილად მიიყვანს მას ზემოხსენებულ ლექსიკონებთან. ეს კი საბოლოო ჯამში, ***გამართული სტილური მეტყველების საფუძველი გახდება.***

***ე) მოსწავლეებს შევთავაზოთ დამატებითი ლიტერატურა, ვასწავლოთ ქართული კრიტიკის ნიმუშებზე მუშაობა.***

სასურველია სასწავლო წლის განმავლობაში განვახორციელოთ რამდენიმე აქტივობა:

1. მოსწავლეებს კვირაში ერთხელ მოვაწყობინოთ კლასის წინაშე თავიანთი წაკითხული წიგნების პრეზენტაცია (ესა თუ ის მოსწავლე ირჩევს წიგნს, რომელზედაც სურს, ისაუბროს, კლასს წარუდგენს 5-7-წუთიან პრეზენტაციას, რატომ უნდა წაიკითხონ ეს წიგნი? შემდეგ კი უპასუხებს მოსწავლეთა მიერ დასმულ შეკითხვებს. დიდად საყურადღებო აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ თვითონ მოსწავლეები ინტერესდებიან, რამდენს გაუჩნდა ამ წიგნის წაკითხვის სურვილი პრეზენტაციის შემდეგ და რამდენმა წაიკითხა, ანუ რამდენად საინტერესო და ეფექტური იყო პრეზენტაცია);
2. გამოვაცხადოთ კლასში შიდა კონკურსი: „ვინ წაიკითხა ყველაზე მეტი წიგნი თვის განმავლობაში?“ (გამარჯვებული დავაჯილდოვოთ წიგნით);
3. ჩავატაროთ ლიტერატურული ვიქტორინა-კონკურსი;
4. აქტიური მონაწილეობა მივაღებინოთ ბავშვებს წიგნის კვირეულში („წიგნიერი“);
5. მუშაობა წარვმართოთ თხზულების წერის სწავლების როგორც მეთოდიკის, ასევე ლექსიკის მიმართულებით. კერძოდ, მწერლის შემოქმდებითი ბიოგრაფიების, ნაწარმოების იდეურ-ესთეტიკური ფონისა თუ ისტორიულ-გეოგრაფიული არეალის გაცნობის შემდგომ, ტექსტის ანალიზის დამთავრების მერე, საჭირო საკვანძო ეპიზოდების, დიალოგების პასაჟების კომენტირება(წერილობით);
6. შევადგინოთ იმგვარი წერითი დავალებები, რაც ორი სხვადასხვა ნაწარმოების ფრაგმენტების ურთიერთშედარებით ან ურთიერთშეპირისპირებით ანალიზს მოითხოვს (ნაწარმოების ეპიზოდები ისე შევარჩიოთ, რომ ჩანდეს საერთო თემა და ამ საერთო თემის მსგავსი ან განსხვავებული ინტერპრეტაცია;
7. მოსწავლეებს შევთავაზოთ უცხო ტექსტი (კლასიკური და თანამედროვე ქართული ლიტერატურიდან ან თარგმანი). იქნებ ამან თავიდან აგვაცილოს ტრაფარეტული, არასაგნობრივი მსჯელობა, შაბლონური გამოთქმების გამოყენება;
8. მოსწავლეს შევურჩიოთ შესაფერისი მხატვრული ლიტერატურა, წაკითხულის შინაარსმა კი თავად გაუჩინოს მოსწავლეს გამოხმაურების დაწერის სურვილი, თუმცა, წერითი დავალების შესრულებამდე, მოსწავლეთა აზრი გულდასმით, ყურადღებით მოვისმინოთ. ***ინტერვიუს*** გზით კი გამოვკვეთოთ მათი ძირითადი იდეები და მხოლოდ ამის შემდეგ დავავალოთ მიმოხილვის დაწერა.

დაბოლოს, ქართული ენა სწავლების ენაა, ყველა დანარჩენ საგანთა წვდომის საშუალებაა, სწორედ მას ეფუძნება პიროვნების სულიერი განვითარების მთელი შემდგომი პროცესი. ორივე სკოლაში ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოსწავლეთა გასაჭირი თხზულების წერისას გამოიწვია:

*1. წიგნიერების დაბალმა დონემ;*
*2. ლექსიკური მარაგის სიმწირემ და არაადეკვატურობამ;*
*3. უსისტემოდ, უხარისხოდ ნათარგმნმა, ადაპტირებული წიგნების კითხვამ;*
*4. ცალკეული სიტყვებისა და გამოთქმების მნიშვნელობების, ასევე ამა თუ იმ ლექსიკური ერთეულის გაუაზრებლობამ განსხვავებულ კონტექსტში;*
*5. მსჯელობის არათანმიმდევრულობამ და დაუსაბუთებლობამ;*
*6. ორთოგრაფიული, სინონიმთა და უცხო სიტყვათა ლექსიკონის გამოუყენებლობამ.*

***სწორედ ამიტომ სასურველია, სკოლებს შორის თანამშრომლობის მიზნით, მოვაწყოთ ინტერნეტ-კონკურსი „ვწეროთ უკეთესად“. ერთსა და იმავე დროს, საქართველოს სხვადასხვა სკოლაში, მოსწავლეებს მივცეთ ერთი და იგივე თემა განსაზღვრულ დროში. მასწავლებლებო, ერთად ვუშველოთ პრობლემას!***

**ლია გოგოხია**
*ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი*

**ლეილა ხონელიძე**
*ფოთის ილია ჭავჭავაძის სახელობის მე-5 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი*

***გამოყენებული ლიტერატურა:***
1. ლია გოგოხია – „დასაწყისი მიკარნახეთ, მასწ!“ http://mastsavlebeli.ge/?p=9948&fb_action_ids=978632605519902&fb_action_types=og.shares
2. ქეთევან თოფაძე – „წერითი მეტყველების სწავლების სტრატეგიები“, თბილისი, 2011;
3. მაია ინასარიძე, მაია ნაჭყებია – ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მეთოდები, თბილისი, 2006.
4. Ruddel, M.R., (2001) Teaching Content Reading and Writing. New York:John Wiley http://www.inased.org/IJPEv1n1.pdf
5. მკითხველთა კვლევა საქართველოში http://www.bookplatform.org/images/activities/17/15012013.pdf (ანგარიში მომზადებულია მარკეტინგული კვლევების და კონსალტინგის კომპანია EXPERTO-ს მიერ, საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციისთვის. კვლევის პერიოდი – ნოემბერი-დეკემბერი, 2012წ)
6. გამოცდების ეროვნული ცენტრი (2010). წიგნიერება, PIRLS 2011 http://www.naec.ge/images/doc/SXVA/pirls_2011_2013.pdf
7. ია კუტალაძე, წიგნიერება (2008), PIRLS 2006 საქართველოში http://www.naec.ge/images/doc/SXVA/wigniereba_pirls_2006_2013.pdf
8. მაია ფიჩხარიძე – როგორ ვასწავლოთ მოსწავლეს ნაწარმოების მიმოხილვის დაწერა http://mastsavlebeli.ge/?p=9881.
9. ლეილა ხონელიძე – ლექსიკური ყულაბის გასამდიდრებლად – http://mastsavlebeli.ge/

## გამოცდილება

# მწერალმა შეცდომა დაუშვა...

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება სკოლაში საკმაოდ რთული და კომპლექსური პროცესია. ეროვნული სასწავლო გეგმა ერთიანად მოიაზრებს ენისა და ლიტერატურის საკითხებს, რაც გულისხმობს იმას, რომ ენის საკითხების დამოუკიდებლად, ლიტერატურისგან განყენებულად სწავლება წარმოუდგენელია. თუ ჩავიხედავთ ნებისმიერი კლასის სახელმძღვანელოში, ვნახავთ, რომ ენობრივი მასალა ლიტერატურულს მოჰყვება და მასთან ინტეგრირებულად ახსნას მოითხოვს, მაგალითად, ძველი ქართული ლიტერატურის ნიმუშებს მოჰყვება საკითხები ძველი ქართული ენის გრამატიკიდან, ვაჟას ნაწარმოებების გვერდით შევხვდებით დიალექტიზმებთან დაკავშირებულ საკითხებს და ა.შ.

აღნიშნული მიდგომა ერთგვარად გამართლებულია, რადგან მოსწავლეები იღებენ არა მშრალ თეორიულ ცოდნას, არამედ პრაქტიკულად აკვირდებიან სხვადასხვაგვარ ენობრივ ფორმებს და უკეთ ამახსოვრდებათ ისინი.

გარდა იმისა, რომ მოსწავლეები იღებენ პრაქტიკულ ცოდნას ენის მიმართულებით, ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებულად სწავლება გამართლებულია კიდევ ერთი თვალსაზრისით. ესაა მწერლის ენაზე დაკვირვება და მისი ანალიზი. წერითი დავალების შესრულებისას, როგორც სკოლაში, ისე ეროვნულ გამოცდაზე მათ ხშირად მოეთხოვებათ, თხზულების წერისას იმსჯელონ მწერლის ენის თავისებურებებზე. ამ ტიპის დავალებებს, ალბათ, ყველა მასწავლებელი აძლევს მოსწავლეს ზეპირი აქტივობების ფარგლებში, როდესაც კლასში ვმსჯელობთ ნაწარმოების მხატვრულ მხარესა და ენობრივ თავისებურებებზე. ეს არაა მარტივი, ვინაიდან ამ ტიპის დავალებების ადეკვატურად შესრულება სასწავლო პროცესში ხანგრძლივ მუშაობასა და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარებას მოითხოვს. ეს პროცესი რამდენიმე ეტაპად შეიძლება დავყოთ:

1. ამა თუ იმ ენობრივი საკითხის შესახებ თეორიული ცოდნის მიღება;
2. სწორსა და მცდარ ფორმებზე მუშაობა – შეცდომების გასწორება;
3. მწერლის ენაზე დაკვირვება – მწერლისთვის დამახასიათებელი ენობრივი თავისებურებების გამოკვეთა და მათი ანალიზი.

აღნიშნული თანმიმდევრობით ენობრივი საკითხების სწავლებისას საგაკვეთილო პროცესში, ვფიქრობ, ბევრი მასწავლებელი წასწყდომია მოსწავლეთა მხრიდან ასეთ შეფასებას: „მასწავლებელო, მწერალმა შეცდომა დაუშვა, ესა და ეს ფორმა არასწორად უწერია“.

ეს არაა მოსწავლეთა ბრალი იმ შემთხვევაში, თუ მათ თეორიული მასალის სწავლების შემდეგ ვამუშავებთ მხოლოდ მცდარი და სწორი ფორმების იდენტიფიცირებაზე, შეცდომების გასწორებაზე და მსგავსი ტიპის პრაქტიკულ დავალებებზე. ამ ეტაპების გავლის შემდეგ მასწავლებელმა დიდი სიფრთხილით უნდა შეარჩიოს ისეთი ენობრივი ფორმების შემცველი ტექსტი, რომლებზეც მანამდე მუშაობდა კლასი, მიაწოდოს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მწერლებს აქვთ წერის თავისებური სტილი, გამიზნულად იყენებენ სალიტერატურო ენის ნორმებისათვის შეუსაბამო ფორმებს, რასაც შეცდომის კვალიფიკაციას კი არ ვანიჭებთ, არამედ მის ენობრივ თავისებურებად მივიჩნევთ და ვაანალიზებთ მათ მხატვრულობის თვალსაზრისით.

მწერლის ენის თავისებურებებზე მუშაობისას შესაძლოა ეფექტურად გამოვიყენოთ ორსვეტიანი დიაგრამა, რომლის ერთ მხარეს მოსწავლეები ამოწერენ ავტორისთვის დამახასიათებელ ენობრივ ფორმებს, ხოლო მეორე სვეტში მიუწერენ ენობრივად გამართულ ფორმას.

| მწერლისთვის დამახასიათებელი ენობრივი ფორმები | სალიტერატურო ენის ნორმების შესაბამისი მართებული ფორმები |
|---|---|
| | |

ზემოთ აღნიშნული ეტაპის გავლის შემდეგ შესაძლოა მოსწავლეებს ოდნავ „გავურთულოთ“ საქმე და შევთავაზოთ სამსვეტიანი დიაგრამა, რომლის პირველი ორი სვეტი ზედა სქემის ანალოგიური იქნება, ხოლო მესამე სვეტში ვთხოვოთ ჩაწერონ კომენტარი, ანუ მოკლე ახსნა იმისა, თუ რა სახის თავისებურებას წავაწყდით საანალიზო ტექსტში.

| მწერლისთვის დამახასიათებელი ენობრივი ფორმები | სალიტერატურო ენის ნორმების შესაბამისი მართებული ფორმები | კომენტარი მწერლის ენის თავისებურების შესახებ |
|---|---|---|
| | | |

ვფიქრობ, აღნიშნული აქტივობების ხშირი გამოყენება თავიდან აგვარიდებს მოსწავლეთა მხრიდან არასწორ შეფასებას, რომ მწერალი შეცდომებს უშვებს და არასწორად წერს ამა თუ იმ გრამატიკულ ფორმას. ისინი ასევე მიეჩვევიან, რომ ეს საკითხები განიხილონ არა გრამატიკული თვალსაზრისით, არამედ როგორც მწერლის მიერ მხატვრული ეფექტის მიღწევის ერთ-ერთი საშუალება. ეს მეტად მნიშვნელოვანია კიდევ ერთი თვალსაზრისით.

დამეთანხმებით, ზოგჯერ ვხვდებით ხოლმე ისეთ ტექსტებს, რომლებიც არც თუ ისე მდიდარია მხატვრული სახეებით, ან, უფრო მეტიც, შესაძლოა ზოგ ტექსტში საერთოდ არც შეგვხვდეს ისინი. ასეთ შემთხვევებში მოსწავლეები ძალიან იბნევიან, თუ მოეთხოვებათ მწერლის ენის თავისებურებებზე მსჯელობა და ვერ პოულობენ მხატვრულ მახასიათებლებს. მათ ან არ იციან, ან ნაკლები პრაქტიკის გამო არ ახსოვთ, რომ ამ საკითხზე მსჯელობა არ გულისხმობს მხოლოდ ტროპის სახეებს, არამედ მათ შეუძლიათ იმსჯელონ ავტორის მიერ გამოყენებულ სპეციფიკურ ენობრივ ფორმებზე, სასვენ ნიშნებზე, ლექსიკურ ერთეულებზე და ა.შ. მაშინ ისინი აღარ შევლენ ჩიხში და ადვილად გაართმევენ თავს შეთავაზებულ „რთულ“ დავალებას. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი მცირე ზომის ტექსტი – „ამბავად გაგონილნი“:

*„მეფე გიორგი XIII ერთს დროს ყაზახ-ბორჩალოს მიბძანებულა და სწვევია ერთს დარბაისელს, საქართველოს ერთგულს მოხუცებულს აღალარსა. ჩამოვარდნილა ლაპარაკი ცხენებზედ და მეფეს უკითხავს აღალარისათვის:*

*– ყაზახ-ბორჩალოს ცხენი უწინ გათქმული იყო მთელს საქართველოში, ეხლა კი იმისთანა ცხენები აღარ გამოდიან. რა იქმნენ ის უწინდელი ცხენებიო?*

*– იმ ცხენებზედ ის უწინდელი ქართველები შესხდნენ და წავიდნენო, – უპახუხა გულამოჯდომით მოხუცებულმა აღალარმა.“*

თუ დავაკვირდებით ამ ტექსტს, ადვილად მივხვდებით, რომ მასში თავისებური ენობრივი ფორმები უფრო ჭარბად გვხვდება, ვიდრე მხატვრული სახეები და შეგვიძლია მოსწავლეები ვამუშაოთ, მაგალითად, ჭარბ ბრუნვის ნიშანზე, სავრცობზე, ზმნათა თავისებურ ფორმებზე და გავაანალიზებინოთ მათი დანიშნულება.

ზემოთ უკვე წარმოვადგინეთ ორი დიაგრამა, რომლებზე მუშაობითაც მოსწავლეები გაიწაფებიან მწერლის ენის თავისებურებების გამოკვეთაში, მაგრამ ეს არაა ყველაფერი. ამ ეტაპების გავლის შემდეგ რჩება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი: იმის განსაზღვრა, თუ რისთვის იყენებს ავტორი ამა თუ იმ თავისებურ ფორმას, ცხადია, ეს შემთხვევით არ ხდება, მწერალს ეს უცოდინრობით არ მოსდის და „შეცდომას არ უშვებს“. როდესაც მოსწავლეებს ვთხოვთ, ტექსტის გაანალიზებისას, იმსჯელონ მწერლის ენის თავისებურებებზე, ეს თავისთავად გულისხმობს არა უბრალოდ უცნაურ ფორმათა აღმოჩენასა და გამოკვეთას, არამედ მათი ფუნქციის განსაზღვრას, რაც არაა მარტივი. აქ გასათვალისწინებელია არაერთი რამ: ნაწარმოების შექმნის ეპოქა და არეალი, ტექსტში ასახული სოციალური გარემო, პერსონაჟთა რეალურ, ტიპურ სახეებთან დაახლოების პრინციპი, ამბის მკითხველამდე ცხადად და შთამბეჭდავად მიტანის მიზანი და ა.შ. საბოლოოდ ამ ყველაფერს ერთ დიდ მიზნამდე მივყავართ: მკითხველზე შთაბეჭდილების მოხდენა. რაც უფრო ოსტატურად იყენებს ავტორი მხატვრულ სახეებსა თუ ენობრივად თავისებურ ფორმებს, მით მეტად შთამბეჭდავი, ახლობელი და ადვილად გასათავისებელი ხდება ნაწარმოები, ავტორის მიზანიც ხომ ესაა. ალბათ, ყველა დამეთანხმება, რაოდენ გაუბრალოვდებოდა და გაუფასურდებოდა ვაჟას ნაწარმოებები დიალექტიზმების გარეშე, რომანტიკოსთა პოეზია თუ გამსახურდიას პროზა არქაიზმების გარეშე, ნუგზარ შატაიძის „მოგზაურობა აფრიკაში“ ჟარგონების გარეშე, ილიას არაერთი ნაწარმოები ბარბარიზმების გარეშე და ა.შ. ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედება ხიბლს დაკარგავდა და მთლიანად გაუფასურდებოდა სახელდებითი წინადადებების გარეშე, მათ ხომ სწორედ მოკლე და მოქნილი კონსტრუქციები სძენს საოცარ ელფერს და მკითხველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს. ილიას უბრალო, სასაუბრო სტილი რაოდენ ახლობელი და ბუნებრივია მკითხველისთვის, მაღალფარდოვნება ალბათ, ძალიან დააშორებდა მათ მკითხველს და უცხოს, მოსაბეზრებელს გახდიდა. და კიდევ რამდენი რამის თქმა შეიძლება ამა თუ იმ მწერლის ენის თავისებურებებზე... ეს ყველაფერი თუ კარგად გავააზრებინეთ მოსწავლეებს, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ მიზანი მიღწეულია – ჩვენ მათ არა ზედაპირულ, არამედ დახვეწილ, გემოვნებიან მკითხველებად ჩამოყალიბებაში ვუწყობთ ხელს.

**ელენა თამაზაშვილი**
*ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი*

**გამოყენებული ლიტერატურა:**
1. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016 (მოქმედი რედაქცია) **http://mes.gov.ge/content.php?id=3923&lang=geo**
2. ი. ჭავჭავაძე; ამბავად გაგონილნი IV;
3. **https://trileri.wordpress.com/tag/%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%93%E1%83%92%E1%83%90%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%9C%E1%83%98/**

ПЕДАГОГОТА ДАСАХМАРЕБЛАД

*სამოქალაქო განათლება*

# ფინანსური განათლების ამაღლების პროექტი

მარინე დემეტრაშვილი

საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ერთობლივი ძალისხმევით, ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობით, მიმდინარეობს „ფინანსური განათლების ამაღლების პროექტი“. პროექტის მიზანია ფინანსური განათლების ამაღლება მაღალკლასელ მოზარდებში, რაც შემდგომში უზრუნველყოფს როგორც ამ სახის ცოდნის ამაღლებას საზოგადოებაში, ასევე სწორი ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებას მათი მხრიდან. იგეგმება მოსწავლეების გადამზადება.

საქართველოს ეროვნული ბანკი გეგმავს, აგრეთვე, თავდაპირველად, საპილოტე სკოლებში პროექტის „სკოლა-ბანკი“ განხორციელებას.

**„სკოლა-ბანკის“ მიზანი:** სკოლების მეშვეობით, ბავშვებსა და ახალგაზრდებში ფინანსური და სოციალური განათლების ამაღლება.

**„სკოლა-ბანკის“ ამოცანა:** ბავშვების, როგორც ფინანსურად და სოციალურად გათვითცნობიერებული მოქალაქეების, ჩამოყალიბება.

პროექტი ორი კომპონენტისგან შედგება:

**1. საბანკო კომპონენტი**

ბანკები ირჩევენ სკოლებს და მოსწავლეებს. ბავშვებზე მორგებულ შემნახველ საბანკო პროდუქტს სთავაზობენ (მაგ. საბავშვო დეპოზიტი);

**2. საგანმანათლებლო კომპონენტი**

მოსწავლეებს უტარდებათ საფინანსო-სოციალური განათლების გაკვეთილები (არაფორმალური განათლების სახით).

ბანკებმა უნდა დანერგონ სკოლის მოსწავლეებისთვის საბანკო პროდუქტი, რომლის საშუალებითაც, ბავშვი შეძლებს თანხის დაზოგვას, მიიღებს სარგებელს და რომელსაც ექნება ინტერაქტიული ელემენტები (მაგ. ბავშვზე მორგებული ინტერნეტბანკის ფუნქცია, ფინანსური განათლების კომპიუტერული თამაშები, აპლიკაციები და ა.შ.).

გაკვეთილების ციკლი მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: გადაწყვეტილების მიღება, მომხმარებლის უფლებები და პასუხისმგებლობები, დაზოგვა და ბიუჯეტირება და ა.შ.

**რა პრინციპებს უნდა აკმაყოფილებდეს, „სკოლა-ბანკის“ ფარგლებში, კომერციული ბანკის მიერ შემუშავებული საბანკო პროდუქტი?**

- ➢ პროდუქტი ხელმისაწვდომია ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის;
- ➢ კანონმდებლობის ფარგლებში, ბავშვებს მაქსიმალური ავტონომია ენიჭებათ;
- ➢ ბავშვები სწავლობენ თანხის დაზოგვას და იღებენ საპროცენტო სარგებელს;
- ➢ ბავშვები და ახალგაზრდები, ამ პროდუქტის საშუალებით, ბანკთან ურთიერთობას სწავლობენ;
- ➢ ბანკი ბავშვებსა და ახალგაზრდებზე მორგებულ საკომუნიკაციო სტრატეგიას იყენებს;
- ➢ საბანკო პროდუქტის პარალელურად, ბავშვები, ასევე, იღებენ საფინანსო-სოციალურ განათლებას;
- ➢ ხდება საგანმანათლებლო და საბანკო პროდუქტებით ბავშვებისა და ახალგაზრდების კმაყოფილების გაზომვა (მაგ. გამოკითხვებისა და ტესტირების გზით).

ბანკი ზემოაღნიშნული პრინციპების მკაცრ კონტროლს ახორციელებს.

ქართული როგორც მეორე ენა

# დავრწმუნდი, რომ შესაძლებლობები მართლაც შეუზღუდავია

გაზაფხულის მოსვლისას, ნელ-ნელა ვგრძნობ, როგორ იშლებიან კვირტები, მოსწავლეები ყვავილებით ხელში დაგვადგებიან, რომ გვასიამოვნონ, ამით უფრო მეტ სურნელებას აფრქვევენ. ეს ის წვრილმანი დეტალებია, რომელიც რეალურად ბედნიერებას მმატებს. ცხოვრება ფრაგმენტიდან ამოგლეჯილი მომენტებისგან შედგება, რომელთაც სათანადო ადგილი მივუჩინე და გულითადად ვინახავ ჩემს მეხსიერებაში. დრო არასდროს მელოდება, უკანმოუხედავად მირბის წინ, მე კი ერთ დღეს მოვიხედავ და ხელში ეს ტკბილი მოგონებები შემრჩება.

ჩემი თვალები თითქოს სურათებს იღებს, ჩემი განვლილი ცხოვრების თითოეულ კადრს, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი შევურჩიე ჩემს გულში, მინდა დიდხანს ვუყურო, რათა არც ერთი დეტალი არ დამავიწყდეს, მერე გავიხსენო ის შეგრძნება, რაც დამეუფლა. ეს ის სიყვარულია, რომელიც არასოდეს გაქრება. ახლა კი, მინდა მოგიყვეთ ერთ მნიშვნელოვან კადრზე, რომელმაც სამუდამო ადგილი დაიმკვიდრა ჩემში.

პროექტების კეთება მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ ვაკეთებთ და ამ კეთებით ვსწავლობთ ძალიან ბევრ რამეს. ეს არის მიმღებლობა, პასუხისმგებლობა, სიკეთის კეთება, სხვადასხვა უნარ-ჩვევების გამომუშავება, რითაც მოსწავლეები კრეატიულ აზროვნებას ეჩვევიან. მართალი გითხრათ, დიდი ხნის წინ მქონდა ოცნება, რომ ახლოდან გამეცნო დაუნის სინდრომის ბენეფიციარები. როცა ვუყურებდი შორიდან მათი გრძნობების გულწრფელად გადმოცემის უნარს, მივხვდი, რომ ეს არიან ადამიანები, რომლებიც არასოდეს ტყუიან. მეგობრისგან გავიგე, რომ არსებობდა ორგანიზაცია „ორბელიანი საქართველო“, რომელმაც გამოაცხადა კონკურსი. როცა აპლიკაციას გავეცანი, დავფიქრდი გამეგზავნა თუ არა, რადგან ერთხელ არ დამიფინანსეს იგივე პროექტი, რაზეც გული დამწყდა, თუმცა, გადავწყვიტე, რომ ეს გზაც მეცადა. საბოლოოდ მიზანს მივაღწიე, ჩემი პროექტით მოვიპოვეთ დაფინანსება, რისთვისაც კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მინდა გადავუხადო „ორბელიან საქართველოს“.

მსურდა პროექტი განმეხორციელებინა დამეგობრებულ ფასანაურის სკოლის მოსწავლეებთან ერთად, რადგან ამით კვლავ გაგრძელდებოდა ჩვენი მეგობრობა და ერთობლივად მსურდა, კეთილი საქმე გვეკეთებინა. პრობლემა ძალიან მწვავედ იდგა, სკოლაში გვყავს რამდენიმე ბენეფიციარი, ერთ-ერთმა სწავლა იმის გამო შეწყვიტა, რომ საზოგადოებისგან მიუღებლობა იყო. აი, მაშინ მივხვდი, რომ რაღაც უნდა შემეცვალა. ვიცოდი, ამას დასჭირდებოდა დიდი დრო, ენერგია, რისკები, მაგრამ სულ ვიყავი დარწმუნებული, რომ ამას შევძლებდით.

პროექტის ფარგლებში, მაღალმთიანი რეგიონის, კერძოდ, დამეგობრებული ფასანაურის სკოლის მოსწავლეები სოფელ საბირქენდში ჩამოვიყვანეთ და ორი დღე აზერბაიჯანულენოვან თემში ვაცხოვრეთ. აზერბაიჯანელებმა დიდი სიხარულით მიიღეს სტუმრები. ეს თვალში საცემი იყო, რადგან ადრე ექსკურსიაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო ჩვენს სკოლაში. გავიდა წლები და დღეს ქართველი ბავშვები ოჯახებში სტუმრობენ აზერბაიჯანელებს, ხოლო აზერბაიჯანელები – ქართულ ოჯახებს. როცა დავინახე მათი ურთიერთობა, მივხვდი, რომ ეს ინტეგრაციაზე მეტი იყო. ცრემლიანი ჩახუტება, საჩუქრების დარიგება ერთმანეთისთვის, დისკუსია მნიშვნელოვან საკითხებზე, ერთად ამღერებული და აცეკვებული, აი ეს არის შედეგი, რომელმაც ჩვენს შემთხვევაში გაამართლა.

გვქონდა წინასწარ შესამზადებელი დავალებები და აქტივობები, დაამზადეს ნახატები თემაზე: „ჩვენ არ ვითვლით ქრომოსომებს“, ერთობლივად შეფუთეს საჩუქრები ბენეფიციარებისთვის და მოამზადეს მოკლე, 15-წუთიანი კულტურული ღონისძიება, რომელშიც ძალიან აქტიურად იყვნენ ჩართულები. ამის შემდეგ ახალგაზრდულ ცენტრში „პირველი ნაბიჯები“ გაიმართა ფილმის ჩვენება „მე მქვია სემი“, რომელსაც ემოციების და ცრემლების გარეშე არ ჩაუვლია, ბავშვებზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, დავსვით კითხვები ფილმთან დაკავშირებით და გამარჯვებულებს სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ. გაიმართა დისკუსია, სადაც იმსჯელეს, რატომ იყო პრობლემა საზოგადოების მხრიდან და მისი გადაჭრის გზებზე.

6 აპრილს ვეწვიეთ „მშობელთა ხიდის“ აღსაზრდელების, დაუნის სინდრომის მქონე ბენეფიციარებს. ეს იყო უსაზღვროდ თბილი, დიდი ოჯახი. პირველად იკითხეს სახელები, დაიწყო ჩვენი დაახლოება, ერთ-ერთს დაუმახსოვრებია ჩემი სახელი და როდესაც თბილად წარმოთქვა „სალი“, ძალიან გამითბა გული, ღიმილი არ მოგვშორებია სახიდან არცერთს. დავათვალიერეთ მათ მიერ დამზადებული შესანიშნავი ხელნაკეთები, დავესწარით პარაორკესტრის კონცერტს, არ შემიძლია არ აღვნიშნო მათი მუსიკის მასწავლებლის, ყველაზე სათნო და დადებითი ადამიანის, თეას თვალები, რომელიც გამოხედვით ყველაფერს ამბობდა. რაც მოვისმინე, იყო სასწაული, უბრალოდ, საოცრად აწყობილი მელოდია, რომელიც გადმოსცემდა მათ სულიერ სამყაროს, სევდიან, საკუთარ თავში ჩაძირულ და ღრმა, თითქოს მათ მიერ შექმნილ გალობას ვისმენდი. ამის შემდეგ, ფასანაურის და საბირქენდის სკოლების მოსწავლეებმა, ერთობლივად წარვადგინეთ ჩვენი ნომრები, რომელსაც შეუერთდნენ ბენეფიციარები, იცეკვეს და იმღერეს მათთან ერთად, ითამაშეს ხელბურთი, დავურიგეთ საჩუქრები, გავაკეთეთ წარწერები სურათზე, სადაც თვითონაც მიახატეს საკუთარი განცდები.

ამასობაში მოვიდა ჩვენი წასვლის დროც, მოწყენილი თვალები და კადრს მიღმა შორიდან მომზირალი თვალცრემლიანი მშობლები, რომლებიც საკუთარ შვილებს ასეთ ბედნიერებს უყურებდნენ. მინდოდა მეთქვა, რომ ყველაზე მაგარი შვილები მათ ჰყავთ, თუმცა სათქმელი ყელში გამეჩხირა...

დავრწმუნდი, რომ შესაძლებლობები მართლაც შეუზღუდავია. ჩემი მიზანი იყო, რომ ბავშვებს თანატოლები მიეღოთ ისეთებად, როგორებიც არიან, დარწმუნებულიყვნენ მათ შესაძლებლობებში. ბენეფიციარებს კი დაენახათ, რომ ჩვენ ისინი ძალიან გვიყვარს და მათთან ურთიერთობა გვაბედნიერებს. საბოლოოდ, ადამიანები ყველა ერთმანეთზე ვართ დამოკიდებული, ის რასაც ისინი აკეთებენ შემოქმედებითად, ჩვენ არ შეგვიძლია და – პირიქით. ბოლოს, საუბარში ერთ-ერთმა აღსაზრდელმა ჩვენს მოსწავლეებს მადლობა გადაუხადა, რომ ასეთი ღიმილით შეხვდნენ, ერთ-ერთმა კი უპასუხა: „ჩვენ სანამ აქ მოვიდოდით უკვე გვიყვარდა ყველა“. ეს იყო ჩემთვის ყველაზე დიდი სიამაყე, რასაც „ოქროს სიტყვები“ ჰქვია. მივხვდი, რომ სიკეთე არასოდეს იკარგება. მივიღეთ ძალიან დიდი სითბო და სიყვარული. ეს ემოციები ყველას ემახსოვრება სიცოცხლის ბოლომდე, რადგან ესენი არიან ადამიანები, რომლებიც სინათლეს, სითბოს და სხივს აფრქვევენ. ბედნიერი ვარ, რომ ეს შევძელი. ზუსტად ვიცი, სიყვარული ის ძალაა, რომელიც ერთმანეთში უნდა ვეძებოთ. ჩვენ ეს ძალა ვიპოვეთ და მან სამუდამო ადგილი დაიკავა ჩვენს გულებში. თუ გინდათ ნახოთ სითბო, გახდეთ ბედნიერი და იპოვოთ მზე, გირჩევთ გაიცნოთ ეს საოცარი ადამიანები. მე კი მადლობა მინდა გადავუხადო ყველას – ჩემს მოსწავლეებს, ფასანაურის სკოლის არაჩვეულებრივ გუნდს, რომ ასე ერთობლივად გავილამაზეთ ეს დღე.

სალომე ქირია

საუბრები ლიტერატურაზე

# გრიგოლ ხანძთელის მეორე სახე ვასილ ბარნოვის „ტრფობა წამებულში“

ერთადერთი ხორცსხმული რომელმან არა სცოდა, მხოლოდ ქრისტე იყო-ქალწულ მარიამის წიაღში განკაცებული. ყოველი, მასთან მიახლოების მოშურნე ცდილობს დაგმოს და დათრგუნოს ხორცი თვისი და აღაზევოს სული. ხორციელი სხეული ჭურჭელია, ხორცი სამოსელია სულისა. სული ვერ მიაღწევს სრულყოფას ხორციელ ჭურჭელში გამოვლის გარეშე. სრულყოფილი მხოლოდ უფალია, ადამიანი კი მსგავსია უფლისა, მარად სრულყოფისაკენ მსწრაფველი. თუმცა ადამიანის შვილი უფალი-ღმერთი ვერ გახდება, მაგრამ მიუახლოვდება მაინც, ანუ ემსგავსება მას. უფლისკენ სწრაფვის პროცესში იმოსება ადამიანი საღვთო სიბრძნით და სინათლით. მთელი მადლი ამ ბრძოლაშია და არა მიღწეულ მიზანში. ბრძოლის უნარი კი საღვთო მოშურნეობას ემყარება. საღვთო შურია ის გრძნობა, რომელიც განუწყვეტლივ აფხიზლებს წარმავლობასა და მარადისობას შორის მავალ მოკვდავს. ვინც სრულყოფილებისაკენ, უფლისკენ მავალ გზაზე მოშურნეობით ვლო, იგი მიწაზევე, ხორციელ სხეულშივე განიწმინდა და განიღმრთო. ქართული სასულიერო მწერლობა იცნობს არაერთ მოღვაწეს, რომელთაც საღვთო მოშურნეობით განვლეს ცხოვრება და ღირსსახსოვარი კვალი დატოვეს. ასეთი წმიდა მოღვაწეა გრიგოლ ხანძთელიც.

წმიდა მამა გრიგოლი *„იყო შვილი წარჩინებულთა დიდებულთა და მართლმორწმუნეთა მამა-დედათა“* (მერჩულე) ხორციელად შობილი, ხორციელი მშობლებისაგან, რაც ბუნებრივად განაპირობებს მის ადამიანურ, მიწიერ ბუნებას, ხორციელი სურვილებითა და მოთხოვნილებებით. თუ როგორ განვლო წმიდა მოღვაწემ გზა წარმავალიდან მარადჟამობამდე „მადლითა და შეწევნითა ღმრთისაითა“ გვაუწყა გიორგი მერჩულემ. ხოლო მრავალი წლის შემდეგ წმიდა მამის ცხოვრებას კიდევ ერთი ღვთის მადლცხებული კალამი შეეხო, კალამი ვასილ ბარნოვისა.

ვასილ ბარნოვის ისტორიული რომანი „ტრფობა წამებული“ თვალწინ გვიშლის გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის პერიოდის საქართველოს. ეს არის ამბავი ძლევამოსილი აშოტ კურაპალატისა, რომლის ბედის მსვლელობაზე წმ. მოღვაწის ხელწერაც ასახულა. როგორია ვასილ ბარნოვის გრიგოლ ხანძთელი? ბარნოვისეული წმ. გრიგოლი ადამიანია, კაცი უფლის გზაზე შემდგარი, რომელიც მოწოდებულია ყოველივე ხორციელის უარყოფით აღაზევოს სული თვისი. იგი ადამიანურ ბუნებას ეურჩება, სიტკბოებას ამქვეყნიურს უარყოფს. მაგრამ რას ამბობს მწერალი? იგი ხორციელი მშვენების უარყოფაში ვერ ეთანხმება წმინდანს, ვინაიდან ხორციელი მშვენებაც ნაწილია თვით უზენაესი უფლისა. როგორც ჭეშმარიტებას ვერ მოსტაცებს უფალს სატანა, ასევე შეუძლებელია მოსტაცოს მშვენიერების და სიყვარულის უმცირესი ნაწილი. ხორცის უარყოფა თვით მისი შემოქმედის უარყოფაა.

*„უარჰყო იმან (გრიგოლმა) ერთი ნაწილი თავის ბუნებისა. თავისი ნივთიერი არსება. შეუდგა ან განვითარებას მხოლოდ სულისას.*

*– გგონია, კარგადა ჰქმნა? დარწმუნებული ხარ მცნება უფლისა აღასრულა? ნუ იფიქრებ! ღმერთს ჭკუა არ ესწავლება. იმან შეგქმნა ხორციელი და ჩაგბერა სული უკვდავი; ორი ბუნება შენი განუყრელად შეერთებული. უნდა დაჰმორჩილდე ნებას ყოვლად ბრძენ შემოქმედისას. გიყვარდეს ხორციელიც და სულიერიც შენი არსება. იზრუნო მასზედ, განავითარო. განგებამაც ესე დააწესა: მოგცა წესდება ხორცისათვის და მცნება სულისათვის... სული და ხორცი განუყრელად არიან ერთქმნილნი და განვითარების გზაზედ ეხმარებიან ერთმანეთს. ვერავინ გაჰყრის სამუდამოდ ერთქმნილ ხორცს და სულს. ვერც ამქვეყნად, ვერც თუ იმქვეყნად... ხორციც ვითარდება, წმიდავდება, უკვდავ იქმნება, სამარადისო ყოფნას ეზიარება, ვით სხეული სრულის ღმერთ-კაცისა, ოღონდ აამაღლე იგი, განავითარე, ჰაეროვან ჰყავ, ნათლით შემოსე, დაუახლოვე ღმერთს განკაცებულს. ადამიანი სახეა ყოვლადშემძლებელი შემოქმედისა, მისთვის არაფერია შეუძლებელი“* (ვ. ბარნოვი).

ამ ეპიზოდში ნათლად ჩანს ვასილ ბარნოვის ხედვა: განღმრთობა ხდება არა მხოლოდ სულით, არამედ ხორცითაც. მღვდლის ოჯახში აღზრდილი და სასულიერო სემინარიაში განსწავლული ბარნოვი, რომელიც შემდეგ იმავე სემინარიაში მასწავლებლობდა, ცხადია, საფუძვლიანად იცნობდა მართლმადიდებელ ქრისტიანულ სარწმუნოებას. ქრისტიანული რელიგიისთვის ცნობილია არაერთი წმინდანი, რომელნიც ხორციელადვე აღმაღლდნენ ზეცად ან რომელთა სხეულის ნაწილებიც საუკუნეთა მანძილზე უხრწნელია. თვით უფალი იესოს ხორციელი აღდგომაც დასტურია ამის.

წმ. მამა გრიგოლი ხორციელ ბუნებას ებრძვის და იმარჯვებს კიდეც ამ ბრძოლაში, მაგრამ მაინც ადამიანია, მიწაზე მყოფი. დედამიწა კი ანგელოზებით როდია დასახლებული, აქ ცხოვრებისა და მოღვაწეობის კეთილად წარმართვისთვის მხოლოდ უფლის შეწევნა არ კმარა. საჭიროა საღი აზრი და მტკიცე ნებისყოფა. გრიგოლი არაერთხელ ავლენს აზროვნების მეორე, პრაქტიკულ მხარეს. იგი უფლისგან კარნახს და სასწაულებრივ ხილვებს როდი ელის, არამედ დამოუკიდებლად, თავის ადამიანურ ნებას უქვემდებარებს სხვა ადამიანების ქმედებას. მას მხოლოდ საკუთარი თავი არ გადაუდია საუფლო მსხვერპლად. განდეგილობაში, მარტომყოფობასა და მხოლოდ სულის საოხად ლოცვაში კი არ იწმიდება, არამედ აქტიურ მოღვაწეობაშია, მარად მოქმედებაში. *„კეთილად განმგებელი და უდაბნოთა ქალაქმყოფელი“* გრიგოლი არ კმაყოფილდება საკუთარი სულისა და მონასტერთა შენებით, მას განუზრახავს სხვისი ხელითაც შესწიროს უფალს მსხვერპლი. ეს სხვა, არის თებრონია. *„ესეთი გაკაჟებული გული არის საჭირო იმ მრავალსახე და დიდ მსხვერპლისათვის რომელი მსურს შევსწირო მე თებრონიას ხელით ღვთაების ნებისყოფას შეუსაზღვრელსა“* (ვ. ბარნოვი), ფიქრობს წმ.გრიგოლი და ამ ფიქრიდან ჩანს არა ქრისტიანული გრძნობიერი დამოკიდებულება მოყვასისადმი, არა ღვთისმიერი სიყვარულით ნაკარნახევი სურვილი, არამედ კარგად გათვლილ-გაანალიზებული სვლა, ძლიერი პიროვნების შემოკავშირების, თანამოსაქმედ გახდომის გეგმა.

გრიგოლ ხანძთელი შემდგომ უფრო დიდ პოლიტიკურ ნაბიჯებს დგამს, რომელიც არა თუ არ ამოდის წმიდა ქრისტიანული განცდებიდან, არამედ ეწინააღმდეგება კიდეც მას. იგი აშოტის მოძღვარს ავალებს, აღიარებინოს აშოტს ცოდვა (შუქურისადმი ტრფიალი, რომელიც ავტორმა ღვთისგან კურთხეულ და კაცთაგან დაგმობილ კავშირად წარმოგვიდგინა) და დაატოვებინოს, დაათმობინოს იგი. ხოლო დავალების აღსრულების შემდგომ, ხუცესმა აუწყოს ყოველივე გრიგოლს, თუ როგორ წარმართა აღსარება და რა მოისმინა კურაპალატისაგან.

*„აღსარება უნდა იყოს შედეგი პირად მოთხოვნილებათა საკუთარისა, ბაგენი უნდა აღმოიტყოდნენ მას, რას უკარნახებს გრძნობა იდუმალი. – ბჭობს ხუცესი, მოძღვარი აშოტისა, გრიგოლთან საუბრის შემდგომ – აღსარება უნდა იყოს თავისუფალი, ყოველგვარ სხვა მიზნის გარეშე მყოფი, გარდა წრფელი სინანულისა. მე კი მავალლებენ თითონ დავუსახო ცოდვა განსაზღვრული, იძულებელ ვყო ვათქმევინო ის და განვუწესო უსათუოდ მოსპოს იგი ცოდვა. ეს არის ძალა ჩემს სინდისზედ მოტანილი და არ შემიძლიან მისი აღსრულება.*

*მიბრძანებს ვამცნო იგი აღსარება, გავაგებინო. არ ეგების! უკეთუ მოძღვარმან გასცეს აღიარებული, აღმოეკვეთოს მას ენა იგი ცუდადმეტყველი.“* – ხუცესის მიერ გრიგოლის მოთხოვნის ასე მართებულად განსჯით, ავტორი, თითქოს, უპირისპირებს ერთმანეთს, ერთი მხრივ, ბრწყინვალე შარავანდედით მოსილ მოღვაწეს, წმიდა მამა გრიგოლს და, მეორე მხრივ,უბრალო მოძღვარს, რომელიც რატომღაც უფრო გრძნობიერად შეერთებული ჩანს უფალთან. მას წარმოსახვაშიც ვერ დაუშვია ოდნავ მაინც გადაუხვიოს ჭეშმარიტ ქრისტიანულ პრინციპებს და ჩაიდინოს ის, რაც წმ. გრიგოლისთვის დასაშვებია და სულაც არ მიიჩნევა დიდ ცოდვად. ეს ეპიზოდი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს გრიგოლ ხანძთელის მიზანმიმართულ, პოლიტიკურად მოქმედების უნარის მქონე პიროვნებას, რომელსაც ისევე კარგად ძალუძს ამქვეყნიურ საქმეთა მართვა, როგორც სულთა წვრთნა საიმქვეყნიოდ.

შემდეგი პოლიტიკური ნაბიჯი არის შუქურის წაყვანა დედათა მონასტერში. ამ ამბავზე გიორგი მერჩულე გვამცნობს: *„ხოლო ნეტარმან გრიგოლ პოვა ჟამი მარჯუე, ოდესცა კურაპალატი შორს იყო არტანუჯსა“* და სიძვის დიაცი საბელმობმული წაიყვანა დედათა მონასტერში... დედათა მონასტერში მიბრძანებულ აშოტს გადაულახავ ზღუდედ დაუხვდა დედა თებრონია. მეფე იძლია ღვთისმსახურთაგან. *„ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არს“* თქვა *„შეურვებულმან კურაპალატმან გულისა შეჭირვებისაგან“* (მერჩულე).

მამა გრიგოლი მიწიერ გვირგვინოსანს არ ეკითხება, ისე წარმართავს მისი ცხოვრების ისტორიულ ეპიზოდს ნებისაებრ თვისისა. იგი ყველას უმტკიცებს, რომ უხილავი შარავანდედის წინაშე უძლურია სკიპტრა და გვირგვინი მეფისა, თუნდ უფლის ხელით გვირგვინდადგმულისა. მამა გრიგოლი აქ გვევლინება, როგორც სამეფო ოჯახის და მთელი ქართველი ერის ზნეობის დამცველი, რომლის მოქმედების ერთადერთი ახსნა და გამართლება სწორედ ესაა.

სამწუხარო და საგულისხმო დასასრული აქვს მეფისა და შუქურის ტრფობას – გრიგოლის მიერ გაკაჟებული გულით და თებრონიას ხელით შეიწირა შუქური მსხვერპლად. მაგრამ საკითხავია, უნდოდა კი უფალს ასეთი მსხვერპლი? შეიწირა კი? მიიღო კი?

ვასილ ბარნოვი შუქურის სიკვდილს ისე გადმოგვცემს, რომ ოდნავ ჩრდილსაც კი არ აყენებს წმიდა მოღვაწეებს, მამა გრიგოლსა და დედა თებრონიას. თითქოს მათ ოდნავი ბრალიც არ მიუძღვით შუქურის სიკვდილში. და თითქოს არც იციან, რომ შუქურის სიცოცხლე მზაკვრის ხელით მოისპო, მაშინ, როდესაც დედა თებრონიას არასოდეს გამოეპარებოდა რომელიმე მოლოზნის ერთი უწმინდური აზრის გაელვებაც კი. და მით უფრო მაშინ, როდესაც მონასტერი ძლევამოსილი მეფის ესოდენ საყვარელ არსებას იფარებდა.

ადამიანის ყოველ ქმედებას აქვს მიზეზი ან მიზანი. ყველა ისე იქცევა როგორც შეუძლია, რამდენის საშუალებასაც აძლევს მას საკუთარი სულიერი თუ გონებრივი დონე. იმ საზომით ზომავს, რამდენსაც გასწვდება მისი გამოცდილება და სიბრძნე. ცხადია, გრიგოლის მოქმედებასაც აქვს მიზეზი, მიზანი და ახსნა ისევე, როგორც აშოტის ქცევას. ცხადია, ამ საკითხებზე ხამს დაფიქრებაც და სჯაც. მაგრამ ერთი კია, წმიდა მამა გრიგოლ ხანძთელი იყო ბრძენი და ღვთის მადლით მოსილი და ალბათ მრავალ გზათა შორის მან ყველაზე ეფექტური აირჩია მეფის ცოდვათაგან და ერის ზნბეობრივი წახდომისაგან სახსნელად. ვასილ ბარნოვს არ მოუცია მზამზარეული, ფორმულირებული დასკვნა წმ. გრიგოლის ქმედებების განმსჯელი. მან მოგვცა მცირე მინიშნებები იმაზე საფიქრელად, რომ მიუხედავად უდიდესი მოშურნეობისა და ღვაწლისა, წმ. გრიგოლიც იყო კაცი, კაცის ხორციელი ძე და ზოგჯერ, იქნებ უნებლიედაც, უწევდა განეხორციელებინა ისეთი რამ, რაც მისთვისაც არ იყო სასურველი, მით უფრო მაშინ, როდესაც შედეგი უმეტეს იყო ცოდვისა.

**ნათია მჭედლიშვილი-ქითიძე**
***თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა ლიტერატურის მე-3 კურსის სტუდენტი***

ინფორმაცია

## ათენის 50-ე საჯარო სკოლაში ქართულ ენას შეისწავლიან

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ერთობლივი ძალისხმევით, ათენის 50-ე საჯარო სკოლაში, ქართველი მოსწავლეებისთვის, ქართული ენის საპილოტე პროგრამა ამოქმედდა და პირველი გაკვეთილები ჩატარდა.

შეთანხმების თანახმად, ამიერიდან, გაკვეთილები კვირაში 2-ჯერ, დღის მეორე ნახევარში, ჩატარდება. ათენის 50-ე საჯარო სკოლის ქართველი მოსწავლეების ბაზაზე (პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით, სულ 14 მოსწავლე) 2 ჯგუფი დაკომპლექტდა. სასწავლო პროცესს წარმართავენ ათენში არსებული საკვირაო სკოლებიდან შერჩეული მასწავლებლები – **ხათუნა ლობჟანიძე** და **მადონა ჯავახიშვილი**.

საპილოტე პროგრამის წარმატების შემთხვევაში, საბერძნეთის რესპუბლიკის განათლების, კვლევისა და რელიგიურ საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმების საფუძველზე, განიხილება ქართული ენის სწავლება მაღალი კლასების ქართველი მოსწავლეებისთვისაც. თესალონიკის საჯარო სკოლებში ქართული ენის საპილოტე პროგრამის ამოქმედების საკითხიც დღის წესრიგში დგას.

## პირველი ქართული ინოვაციური თამაში

ილიას უნივერსიტეტის გეიმლაბში – GameLab Iliauni შექმნილი პირველი ქართული ინოვაციური თამაში Warlock VR, თამაშების სფეროში, მსოფლიო მასშტაბით, ერთ-ერთი ყველაზე მაღალრეიტინგული კონკურსის – Leap Motion 3D Jam 2.0 – გამარჯვებულია. კონკურსში, მთელი მსოფლიოდან, 200 თამაში იყო წარდგენილი, მათგან საუკეთესო 11 შეირჩა, პირველი ადგილი ტაილანდმა აიღო, ქართული Warlock VR, ამ საუკეთესო 11 თამაშს შორის, მეორე ადგილზე გავიდა.

კომპიუტერული და მობილური თამაშების ლაბორატორია GameLab Iliauni, ინოვაციების და ტექნოლოგიების კომერციალიზაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ ბაზაზე შეიქმნა. ეს ლაბორატორია საქართველოში პირველი და, ჯერჯერობით, ერთადერთი „გეიმლაბია“. როგორც საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოში აცხადებენ, ლაბორატორიის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, მაქსიმალურად ჩართოს ახალგაზრდა თაობა კომპიუტერული და მობილური თამაშების შექმნის პროცესში და ხელი შეუწყოს წარმატებული სტუდენტური პროექტების კომერციალიზაციას. ლაბორატორია ახალგაზრდა თაობის დასაქმებაზეა ორიენტირებული.

GameLab Iliauni-ში შექმნილი ქართული ინოვაციური თამაში Warlock VR პირველი ქართული VR ჟანრის თამაშია, რომელიც საშუალებას გაძლევთ, გახდეთ ჯადოქარი. ჯერჯერობით, ის ბეტა რეჟიმშია, ანუ თამაშის დასრულებული ვერსია არ არსებობს. ამ თამაშის შემქმნელი, დღესდღეობით, საქართველოში, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი დეველოპერთა გუნდია – StormBringer Studio, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და წარმატებულია.

### რას გვირჩევს სკოლის ექიმი

# მოზარდის ჰარმონიული განვითარების საფუძველი

**შარშან განათლების სამინისტრომ, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, გარდა აჭარისა, სკოლის ექიმის საქმიანობის საპილოტე პროგრამა განახორციელა. პროგრამამ 100 საჯარო სკოლა მოიცვა. ამ სკოლებში დღეს ბავშვებს ექიმი ემსახურება. ამის წყალობით მასწავლებლებიც, მოსწავლეებიც და მათი მშობლებიც თავს უფრო მშვიდად გრძნობენ.**

**მედიცინის დოქტორი, პედიატრი ნელი ბადრიაშვილი, თბილისის 169-ე სკოლის ექიმია. განვლილი ერთი წლის განმავლობაში, მან უკეთ დაინახა სასკოლო ასაკის ბავშვების ჯანმრთელობისა თუ ცხოვრების წესთან დაკავშირებული პრობლემები. ყოველივე ამასთან ერთად, ის სკოლის ექიმის ფუნქციებსა და ჯანსაღი თაობის აღზრდის პრინციპებზეც გვესაუბრება.**

**– ქალბატონო ნელი, რა ევალება სკოლის ექიმს?**

– სკოლის ექიმის უმთავრესი მოვალეობაა იმ სანიტარიულ-ჰიგიენური და სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც ხელს უწყობს ჯანმრთელობის შენარჩუნებას, ფიზიკური განვითარების სრულყოფას და ამით მოზარდი თაობის სრულფასოვანი სწავლისა და ჰარმონიული განვითარების საფუძველს ქმნის.

ჩემი და ალბათ ყველა სკოლის ექიმის სამუშაო დღე სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის შემოწმებით იწყება. ვამოწმებ საკლასო ოთახების სისუფთავეს, მათ განათებას... ვმონაწილეობ სკოლის დღის რეჟიმის შედგენაში. თვალყურს ვადევნებ, რომ ბავშვებმა გაკვეთილებს შორის ფიზიკურად იაქტიურონ, მათი ასაკისა და ინდივიდუალური მდგომარეობის გათვალისწინებით, მშობლებს რეკომენდაციებს ვაძლევ სკოლის გარეთ დღის რეჟიმის დაგეგმვის შესახებ, ვუხსნი პედაგოგებს, როგორ უნდა ისხდნენ ბავშვები მერხებთან, ვამოწმებ მერხების შესაბამისობას მათ ასაკსა და სიმაღლესთან.

ეტაპობრივად, ყველა კლასში, ვატარებ მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგს. ეს გულისხმობს ფიზიკური მონაცემების (სიმაღლის, წონის, გულმკერდის გარშემოწერილობის) შემოწმებას, გულ-სისხლძარღვთა სისტემის მოსმენით გამოკვლევას, ტანადობის შემოწმებას და სკოლიოზის, ტერფმრუდობის, ბრტყელტერფიანობის აღმოჩენას, მხედველობის დარღვევების გამოვლენას. არის შემთხვევები, როდესაც სერიოზული დარღვევის მქონე ბავშვების მშობლებს ამის თაობაზე წარმოდგენა არ აქვთ.

ნებისმიერი დარღვევის აღმოჩენისას, ინფორმაციას ვაწვდი პედაგოგსაც და მშობელსაც. პედაგოგს ვაფრთხილებ, ახლომხედველი ბავშვი წინ დასვას.

ყურადღებას ვამახვილებ ბავშვებზე, რომლებიც ხშირად ავადმყოფობენ. მათ მშობლებს ვურჩევ, ბავშვს გრიპის სეზონური ვაქცინაცია ჩაუტარონ.

აღრიცხვაზე მყავს ქრონიკული დაავადებების მქონე ბავშვებიც. დამრიგებლებმა იციან, რომ ყველა ასეთი მოსწავლის შესახებ უნდა მომაწოდონ სამედიცინო დასკვნა, რათა მოულოდნელი შემთხვევებისთვის მზად ვიყო. დროდადრო ვამოწმებ, როგორ მიდის ასეთი დაავადებები. თუ რამე გაუთვალისწინებელი მოხდა, ვეხმარები.

**– ტარდება თუ არა იმუნიზაცია სკოლაში?**

– სკოლაში არა, მაგრამ ბავშვებს სამედიცინო ფორმების მოტანას ვთხოვ, ვამოწმებ იმუნიზაციის მდგომარეობას და შესაბამის მითითებებს ვაძლევ. თუ მოსწავლეს საშიში გადამდები ინფექციური დაავადება აღმოვუჩინე, უნდა ვაცნობო რაიონის ეპიდემიოლოგს, რომელიც სათანადო ზომებს მიიღებს.

**– უმეტესად რასთან გაქვთ საქმე?**

– ტრავმებსა და მიკროტრავმებთან – ბავშვები აქტიურად მოძრაობენ, დარბიან, ზოგს ფეხი უბრუნდება, ზოგი ძირს ეცემა, ზოგი რამეს ეჯახება... ზოგჯერ მოსწავლეს სიცხე უწევს, თავი ან მუცელი სტკივდება, ფაღარათი ეწყება, გული ერევა... პირველ დახმარებას ვუწევ, მერე კი მშობელს ვუკავშირდები, რომ ბავშვი სახლში ან საავადმყოფოში წაიყვანონ. თუ პრობლემა იმდენად სერიოზულია, რომ მისი მოგვარება ჩემს შესაძლებლობებს აღემატება, სასწრაფო დახმარებას ვიძახებ.

მძიმე ტრავმები იშვიათია, რადგან სკოლაში ვითარებას მანდატურებიც და პედაგოგებიც სათანადოდ აკონტროლებენ.

**– რა პრობლემები აქვთ დღევანდელ მოსწავლეებს?**

– მოსწავლეობის წლები ძალიან მნიშვნელოვანია ჯანმრთელ, ზრდასრულ პიროვნებად ჩამოყალიბებისთვის. ჩვენი ეპოქის ბავშვების მთავარი პრობლემები ის არის, რომ ძალიან ცოტას აქტიურობენ ფიზიკურად და, გადატვირთული რეჟიმის გამო, ხშირად ვერ ახერხებენ ბალანსირებულ კვებას.

შეუძლებელია, ბავშვი კომპიუტერთან არ ურთიერთობდეს, მაგრამ უნდა მოვახერხოთ, რომ ის ბავშვის მეგობარი იყოს და არა მტერი. მივდიოთ სპეციალისტთა რჩევებს, რათა კომპიუტერის უარყოფითი გავლენა მინიმუმამდე დავიყვანოთ და ბავშვმა მისგან სარგებელი მეტი მიიღოს, ვიდრე ზიანი.

დღეს, მაღალი ტექნოლოგიების ეპოქაში, გონებრივი შრომა სჭარბობს ფიზიკურს. შეინიშნება პერსპექტიული განათლებისადმი სწრაფვა და ეს მარათონი პირველი კლასიდანვე იწყება. მშობლებისთვისაც და ბავშვებისთვისაც სპორტულ აღზრდაზე მეტად სხვადასხვა დისციპლინის შესწავლაა პრიორიტეტული. ზოგი ბავშვი ფინანსური პრობლემების გამო ვერ მისდევს სპორტს. არადა ფიზიკური განვითარების შეფერხება სასწავლო პროცესის წარმატებასაც აფერხებს. ამიტომ ფიზიკური აქტიურობის პროპაგანდა ჩვენი: ექიმების, პედაგოგების, მშობლების – საერთო ამოცანა უნდა იყოს.

ფიზიკური კულტურისა და სპორტისადმი მისწრაფება ბავშვებს ადრეულ ასაკშივე უნდა გაუღვივოს ოჯახმა, სკოლამ კი სისტემატური მუშაობით განამტკიცოს ეს სწრაფვა. მშობლებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ფიზიკური აქტივობა და სპორტული დატვირთვა საჭიროა არა მარტო სწავლის პერიოდში, არამედ არდადეგებსა და უქმეებზეც.

**– თანამედროვე ბავშვები მართლაც ბევრ დროს ატარებენ კომპიუტერთან. სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს ამან?**

– კომპიუტერთან ურთიერთობას თავისი დადებითი მხარეებიც აქვს, მაგრამ ხშირად ბავშვები ვერ ზომავენ და ნებადართულზე მეტ დროს უთმობენ კომპიუტერს. მოდი, განვიხილოთ ამის უარყოფითი ასპექტები:

- დიდხანს ჯდომისას იძაბება კისრის, თავის, ხელის, მხრების კუნთები, იტვირთება ხერხემალი, ხელსაყრელი პირობები იქმნება სკოლიოზის განვითარებისთვის;
- ნაკლებად მოძრავი ცხოვრება სიმსუქნის მიზეზად იქცევა;
- მიჩნეულია, რომ თანამედროვე მონიტორები ჯანმრთელობისთვის არ არის მავნე, თუმცა მის ელექტრომაგნიტურ გამოსხივებას განსაზღვრული უარყოფითი გავლენა მაინც აქვს;
- ეკრანის ხანგრძლივი ყურება ძლიერ ტვირთავს მხედველობას – თვალები რეაგირებენ ტექსტისა და სურათების ვიბრაციაზე, რაც თანდათან მხედველობით აღქმაზე აისახება;
- მტევნის სახსრების ჭარბი დატვირთვა მათი შემადგენელი ელემენტების დაზიანებას იწვევს;
- ბავშვებზე უარყოფითად მოქმედებს ინფორმაციის დაკარგვით გამოწვეული სტრესი.

კიდევ ერთი პრობლემაა კომპიუტერზე დაგროვილი მტვერი, ბაქტერიები და მიკრობები, რომლებმაც შესაძლოა ალერგიასა და სხვა დაავადებებს გაუწიოს პროვოცირება.

საყურადღებოა თამაშებზე დამოკიდებულებაც. მოზრდილისგან განსხვავებით, ბავშვის ფსიქიკა ჩამოუყალიბებელია და მასზე კომპიუტერის გავლენა უფრო ძლიერია, ამიტომ კომპიუტერთან მისი ურთიერთობა რაციონალური და დროში შეზღუდული უნდა იყოს. მშობლებმა მკაცრად უნდა აკონტროლონ კომპიუტერთან გატარებული დრო. მუშაობისას, თამაშისას, მულტფილმის ყურებისას მონიტორთან ჯდომის ხანგრძლივობა, 6 წლამდე ასაკში, არ უნდა აღემატებოდეს 15 წუთს, 8-10 წლის ასაკში – ერთ საათს, 11 წლიდან – საათ-ნახევარს. სასურველია, ბავშვმა 15 წუთში ერთხელ აქტიურად დაისვენოს. ასწავლეთ მარტივი ვარჯიშები, მაგალითად, ჩაბუქვნა, კორპუსის ტრიალი, წინ დახრა, უკან და აქეთ-იქით გადახრა, კისრის ტრიალი, ხელების ტრიალი მაჯის, იდაყვის, მხრის სახსარში, მუშტის შეკვრა-გაშლა და სხვ.

საჭიროა თვალების ვარჯიშიც. თვალებისთვის მრავალნაირი ვარჯიში არსებობს, მაგრამ პრინციპი ერთი აქვთ – აამუშაონ თვალის მამოძრავებელი და აკომოდაციური კუნთები. მაგალითად, შეიძლება, ბავშვს ასეთი ვარჯიში შესთავაზოთ:

- 1-4 თვლაზე თვალები მაგრად დახუჭოს, შემდეგ გაახილოს, მოადუნოს თვალის კუნთები და 1-6 თვლაზე შორს გაიხედოს.
- 1-4 თვლაზე შეხედოს ცხვირის ფუძეს, შემდეგ 1-6 თვლაზე კვლავ შორს გაიხედოს.
- თავის მიუბრუნებლად გაიხედოს მარჯვნივ და 1-4 თვლაზე შეაჩეროს მხედველობა, შემდეგ 1-6 თვლაზე გაიხედოს შორს. იგივე გაიმეოროს მარცხენა მხარესაც.
- 1-6 თვლაზე მზერა სწრაფად გადაიტანოს დიაგონალურად მარჯვნივ და ზევით, შემდეგ – მარცხნივ და ქვევით, იგივე გაიმეოროს მეორე დიაგონალზე.

თითოეული ვარჯიში 4-5-ჯერ გაამეორებინეთ.

ბავშვი კომპიუტერთან მოხერხებულად უნდა იჯდეს. მაგიდა და სკამი მის ასაკსა და სიმაღლეს უნდა შეესაბამებოდეს, რათა ძვალსახსროვანი და კუნთოვანი სისტემები ზედმეტად არ გადაიტვირთოს. სასურველია, ჰქონდეს ფეხების დასადგმელიც, რაც მუხლის სახსრის მოხრის კუთხეს დაარეგულირებს. სამუშაო ოთახს უნდა ანათებდეს როგორც ბუნებრივი სინათლე, ასევე ნათურაც. ოთახი ხშირად უნდა განიავდეს და დამუშავდეს სველი წესით.

კომპიუტერული დამოკიდებულების თავიდან ასაცილებლად ბავშვები უნდა ჩავაბათ სპორტში, ხელი შევუწყოთ ერთმანეთთან მათ დამეგობრებას. თუ კომპიუტერთან მაინც ბევრ დროს ატარებს, შეიძლება, ეს მის სასარგებლოდ გამოვიყენოთ – ვასწავლოთ კომპიუტერული ინჟინერია, რაც, მის პროფესიად თუ არ იქცევა, ნებისმიერ საქმიანობაში გამოადგება და ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს.

სწორი გამოყენების შემთხვევაში, კომპიუტერი დადებით გავლენას ახდენს ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებაზე, ამიტომ არ უნდა ვუფრთხოდეთ ბავშვის ოთახში კომპიუტერის დადგმას, მაგრამ საჭიროა, მშობლებიც ერკვეოდნენ ამ სფეროში, თუნდაც იმისთვის, რომ აკონტროლონ, რითია გატაცებული მათი შვილი, გაიზიარონ მისი გატაცება და, საზოგადოდ, რაც შეიძლება მეტი დრო დაუთმონ შვილთან ურთიერთობას.

**– კვების თვალსაზრისით, რა პრობლემები შეინიშნება?**

– ბავშვი დღე-ღამის ძალიან მნიშვნელოვან პერიოდს სკოლაში ატარებს და ამის გამო, სამწუხაროდ, ხშირად ვერ ახერხებს სწორ კვებას, ამიტომ მშობელმა თვალი უნდა ადევნოს, რომ მისი შვილი ნაჭამი გამოვიდეს შინიდან. ბავშვის რაციონი მრავალფეროვანი, დაბალანსებული უნდა იყოს, შეიცავდეს ყველა აუცილებელ ნივთიერებას: ცილებს, ცხიმებს, ნახშირწყლებს, ვიტამინებს, მიკრო- და მაკროელემენტებს. უნდა ვეცადოთ, საკვები იყოს ახალი, ნატურალური, ეკოლოგიურად სუფთა. მნიშვნელოვანია საკმაო ოდენობის ხილისა და ბოსტნეულის მიღება – ისინი ორგანიზმს აწვდიან აუცილებელ ინგრედიენტებს, ფიტონუტრიენტებს, უჯრედისს.

საუზმისთვის საუკეთესოა სახამებლის შემცველი კერძები, მაგალითად, რძიანი ფაფა. ასეთი საუზმე ნელა აითვისება და ორგანიზმს დიდხანს უზრუნველყოფს ენერგიით. მასთან ერთად შეიძლება შევთავაზოთ ხილის, ბოსტნეულის წვენი, ჩაი, რძე. კვებათა შორის შუალედი არ უნდა აღემატებოდეს ოთხ საათს, რათა კუჭ-ნაწლავის ფერმენტულმა სისტემამ და მოტორიკამ სწორად იმუშაოს.

მეორე საუზმე, რომელსაც ბავშვი სკოლაში მიირთმევს, შეიძლება იყოს ბუტერბროდი ქათმის ან საქონლის მოხარშული ხორცით, სალათის ან კომბოსტოს ფოთლით, კიტრით ან ბულგარული წინაკით, უცხიმო ყველით. დესერტად შეიძლება გამოვატანოთ ვაშლი ან სხვა ხილი. ძეხვი, ჩიპსები, ნამცხვრები სასურველი არ არის.

შინ ბავშვმა კარგად უნდა ისადილოს. თუ მოზრდილი ადამიანისთვის წვნიანი არ არის აუცილებელი, ბავშვისთვის ის მეტად მნიშვნელოვანია. მეორე კერძად შეგიძლიათ შესთავაზოთ მოხარშული ხორცი ან თევზი ბოსტნეულის გარნირით, ბოლოს კი – დესერტი. წვნიანი არ უნდა იყოს ზედმეტად ცხიმიანი და ძვლის ბულიონზე მომზადებული.

სამხრად შეიძლება მიირთვას ფუნთუშა რძესთან ან მაწონთან ერთად, ყველიანი ბუტერბროდი ჩაისთან ერთად, ხილი, ვახშმად კი კვერცხი, ხაჭო, თევზი, წვენი, რძე, მაწონი. სასურველია, პური ქატოს შეიცავდეს.

ნამცხვრები და შოკოლადის კანფეტები ყოველდღიური საჭმელი არ არის, ამით მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში უნდა გავუმასპინძლდეთ.

კვების შუალედებში ბავშვს წყლის დალევაც არ უნდა დაავიწყდეს – დღე-ღამეში 1-2 ლიტრი წყალი უნდა მიიღოს.

ამრიგად, უნდა გვახსოვდეს, რომ რაციონალური კვების მთავარი პრინციპებია: ადეკვატური ენერგეტიკული ბალანსი, რომელიც ბავშვის ენერგოხარჯვას შეესაბამება, დაბალანსებული და მრავალფეროვანი რაციონი, კვების ოპტიმალური რეჟიმი, საკვების მომზადების სწორი ტექნოლოგია, რომელიც კერძს საგემოვნო და კვებით ღირებულებებს უნარჩუნებს. ასევე გასათვალისწინებელია ბავშვის ორგანიზმის თავისებურებები და კვების უსაფრთხოების პრინციპის დაცვა.

სასკოლო ასაკში ბავშვის ორგანიზმი ინტენსიურად იზრდება; ვითარდება ყველა ძირითადი სისტემა: საყრდენ-მამოძრავებელი, გულ-სისხლძარღვთა, ნერვული; სქესობრივი მომწიფების გამო ხდება ორგანიზმის რადიკალური ენდოკრინული გადაწყობა; ვიზუალური გარდაქმნის ფონზე იტვირთება ფსიქოემოციური სფერო; თანდათან იმატებს არა მხოლოდ სასკოლო დატვირთვა, არამედ სოციალურ ადაპტაციასთან დაკავშირებული სირთულეებიც.

კვების სწორი ორგანიზება ბავშვს მრავალი სირთულის დაძლევაში დაეხმარება. ორგანიზმი ყველა რესურსით უნდა მომარაგდეს, რაც ზრდისა და განვითარებისთვის, მზარდი სასკოლო დატვირთვის ასატანად და სქესობრივი მომწიფებისთვის არის საჭირო.

ყველას გვსურს, აღვზარდოთ როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერად და გონებრივად ჰარმონიულად განვითარებული ბავშვები. ჩვენ ისეთ ეპოქაში შევდივართ, რომელიც ადამიანს ძალიან დიდ მოთხოვნებს უყენებს და ამისთვის ყოველი ჩვენგანი ბავშვობიდანვე უნდა მოემზადოს, სხვაგვარად გარემოსთან ადაპტაცია გაუჭირდება.

**მარი აშულაშვილი**

www.aversi.ge

ინფორმაცია

# ქართველი მეცნიერის წარმატება

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორმა და ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის ნევროლოგიის ასოცირებულმა პროფესორმა, **ზურაბ ნადარეიშვილმა**, სამეცნიერო კვლევის ჩასატარებლად, აშშ ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის ფოგარტის საერთაშორისო ცენტრის გრანტი მოიპოვა.

ქართველი მეცნიერი, ამჟამად, ჯონს ჰოპკინსის ჰოსპიტალის (აშშ) ინსულტის ცენტრს ხელმძღვანელობს და, პარალელურად, ქართველ მეცნიერებთან ერთად, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ მნიშვნელოვან კვლევაზე მუშაობს.

ზურაბ ნადარეიშვილი, ქართველ მეცნიერებთან ერთად, საერთაშორისო წამყვან სამედიცინო ჟურნალებში გამოქვეყნებული 25 სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწევა.

ამერიკის ნევროლოგიისა და ფსიქიატრიის საბჭოს სერტიფიცირებული დიპლომანტი, ამერიკის ჯანმრთელობის დეპარტამენტის ჯილდოს მფლობელი, ჯონს ჰოპკინსის სამედიცინო სისტემის საუკეთესო ექიმ-კონსულტანტად აღიარებული ზურაბ ნადარეიშვილი სისტემატიურად ჩამოდის სამშობლოში ქართველ პაციენტებთან შესახვედრად, ხოლო ამერიკაში საქართველოდან ჩასული კოლეგების, მეცნიერების, სტუდენტების კეთილი მასპინძელია.

# თანამშრომლობა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, კომპანია „რუსთავის ფოლადსა“ და რუსთავის პროფესიულ კოლეჯ „მოდუსს“ შორის პროფესიული განათლების სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება გაფორმდა.

თანამშრომლობის მემორანდუმი კერძო კომპანიასთან – „რუსთავის ფოლადი“ – მჭიდრო თანამშრომლობას გულისხმობს, განხორციელდება კომპანიისთვის სტუდენტების მიზნობრივი გადამზადება საჭირო პროფესიებზე, მათი უზრუნველყოფა სტიპენდიით, საწარმოო პრაქტიკით და შემდეგ, წარმატებული სტუდენტების კომპანიაში დასაქმებით. კომპანიის წარმომადგენლები, ასევე, ჩაერთვებიან სასწავლო პროგრამების შედგენისა და დახვეწის პროცესში.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმატებული კოოპერატიული თანამშრომლობა კერძო სექტორთან და შრომის ბაზრის მოთხოვნილების გათვალისწინება, ბევრ კერძო სექტორის წარმომადგენელს უჩენს მოტივაციას, აქტიურად ჩაერთონ პროფესიული განათლების განვითარებაში და, შესაბამისად, თავიანთი კომპანიებიც უზრუნველყონ კვალიფიციური კადრებით. სწორედ ასეთი მიდგომაა აუცილებელი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის.

სპორტი

# სპორტის დღე თბილისში

6 აპრილს მსოფლიო სპორტის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს, რომელსაც საქართველოც შეუერთდა. შესაბამისი სპორტული ღონისძიებები ორ ეტაპად გაიმართა. თავდაპირველად, 6 აპრილს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, რომელსაც საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია ეხმარებოდა, გაიმართა შეჯიბრებები სხვადასხვა სახეობებში – ფრისბი, Tower running (სირბილი და ესტაფეტის გადაცემა კიბეებზე), ბაგირის გადაძალვა, მაგიდის ჩოგბურთი, ბადმინტონი, ჩელიდინგი, მოძრავი თამაშები, ლეგენდების კვალდაკვალ (დაშიფრული ადგილების ძებნა რუკის დახმარებით). ამ ღონისძიების ეპიცენტრი ვაკის პარკი იყო, თუმცა შეჯიბრებები კიდევ რამდენიმე ადგილას გაიმართა. სასკოლო სპორტის ფედერაციის გარდა, ამ შეჯიბრებების ორგანიზებაში სამინისტროს სხვადასხვა სპორტული ფედერაციებიც ეხმარებოდნენ – ხელბურთის, ფრისბის, სპორტული ორიენტირების, Tower running-ის, მანდატურის სამსახური და სხვ. შეჯიბრებაში დედაქალაქის საჯარო თუ კერძო სკოლები მონაწილეობდნენ. ღონისძიებას განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **ალექსანდრე ჯეჯელავა** და მისი კოლეგა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროდან, **ტარიელ ხეჩიკაშვილიც** დაესწრნენ.

8 აპრილის ღონისძიების ინიციატორი სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია იყო, თუმცა მას, ფინანსურად, თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური დაეხმარა.

ღონისძიება მაგიდის ჩოგბურთში გაიმართა, ლისის ტბის კომპლექსში. შეჯიბრებაში, ასევე, დედაქალაქის კერძო და საჯარო სკოლები მონაწილეობდნენ, რომელთა შორისაც ინტერესი დიდი იყო – 60-ზე მეტი სკოლა გამოვიდა. გუნდები შერეული პრინციპით დაკომპლექტდა: 2-2 მოსწავლე და მასწავლებელი, რომელსაც თითო მშობელი და მანდატურიც დაემატნენ. ამათგან, მანდატურის ჩართვა პირველი პრეცედენტია, თორემ დანარჩენი სეგმენტით დაკომპლექტება ანალოგიურ შეჯიბრებებში უკვე ჩვეულებრივი ამბავია. ამჯერად გადაწყვიტეს, ამ კომპლექტში მანდატურებიც ჩაერთოთ, რადგან ეს ხალხი უკვე იქცა სკოლის ყოველდღიურობის აუცილებელ და შემადგენელ ნაწილად, მსგავსი ინიციატივები კი ხელს შეუწყობს მათ კიდევ უფრო ადვილად ინტეგრაციას სასკოლო ცხოვრებაში. დაძაბული პაექრობების შემდეგ ჩემპიონი სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესი გახდა, ვინც ფინალში 161-ე საჯარო სკოლას მოუგო, ბრინჯაოსთვის შეხვედრაში კი 124-ე სკოლის გუნდმა 207-ე დაამარცხა.

# ჭანტურია ჩემპიონია

ძიუდოისტმა გოგონებმა მორიგი წარმატება მოიპოვეს – ჩეხურ ტეპლიცეში გამართულ ჭაბუკთა ევროპის თასზე თითო ოქრო და ბრინჯაო მოინადავლეს. ტურნირის ჩემპიონი **მარიამ ჭანტურია** (63) გახდა, მესამეზე კი მძიმეწონოსანი **სოფიო სომხიშვილი** გავიდა.

ჭანტურია ჭაბუკებში ევროპის ბრინჯაოს მედალოსანია, წლეულს მართლაც მშვენიერ სეზონს ატარებს და, ამ გაზაფხულზე, ანტალიაში მესამეზე გავიდა. ჩეხეთში მან ხუთიდან სამი შეხვედრა იპონით მოიგო. თავიდანვე ძლიერი სტარტი აიღო და პირველივე შეხვედრა ფრიად მაღალ დონეზე ჩაატარა – გერმანელ **მარაიკე რედიგს** ჯერ ორი გდება გაუკეთა, ბოლოს კი პირდაპირ დააიპონა. უკრაინელი **კარინა სარქისიანი** ბევრად კი გაუძალიანდა, თუმცა წმინდა გდებისა და იპონისგან თავი მაინც ვერ დაიხსნა. სამაგიეროდ, ამ ხვედრს ბრიტანელი **ემილი კოპერი** გადაურჩა მეოთხედფინალში, ვისაც ჭანტურიამ ვაზარით მოუგო. ნახევარფინალში კი ქართველმა ძველებურად გაილაღა და ისევ წმინდა მოგება მიითვალა ლუქსემბურგელ **ანეტა მოსრთან**. ფინალი შედარებით ფრთხილი გამოდგა გერმანელ **ანაბელ ვინზიგთან** და მსაჯმა გაფრთხილებებიც არიგა, მომგებიანი გდება ისევ ჭანტურიამ მიითვალა, რამაც ვაზარი და ოქროს მედალი მოუტანა.

ჭანტურიას მსგავსად, სომხიშვილიც ქართული ძიუდოს უახლესი მომავლის ერთ-ერთი გამოკვეთილი ლიდერია და ისიც ამართლებს ამ იმედებს. ამ ასაკში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, ტეპლიცეში, შარშანაც მესამე იყო, ამჯერად კი, უკეთესი სინჯის მედლის მოპოვების რეალური შანსი ჰქონდა, მაგრამ ნახევარფინალში თურქ **მინე კალენდერთან** მარცხი უფრო უიღბლობას ან, იქნებ, გამოუცდელობასაც უნდა დავაბრალოთ. სომხიშვილი ყველანაირად ჩაგრავდა მეტოქეს და ორი გაფრთხილებაც მიაღებინა. შეხვედრის მიმდინარეობა თურქს სულაც მოხსნას უქადდა, რადგან ჩვენი სპორტსმენი აქტიურად უტევდა და იქნებ სწორედ ეს იყო მისი შეცდომა – რაკი დრო იწურებოდა, აჯობებდა, შეტევებით არ გაერისკა და დროის გაყვანაზე, ანგარიშის შენარჩუნებაზე ეჭიდავა. ყოველ შემთხვევაში, ასეა თუ ისე, ამ შეტევებში გართული, დასრულებამდე სულ რაღაც 3-4 წამით ადრე, კონტრილეთზე მოჰყვა – თურქმა კისრულით ვაზარზე დაადო.

იქამდე ჩვენმა ლიდერმა ორი შეხვედრა მოიგო წმინდად. თანაც, საიპონე გდებამდე, უნგრელ **ჟილვია ფარკაშსაც** და ესპანელ **სარა კამპილო ფერნანდესსაც** ორ-ორი ვაზარი აართვა. საბედნიეროდ, თურქთან წაგებამ ქართველი ვერ გატეხა და მისი ჯავრი, ბრინჯაოსთვის შეხვედრაში, მეორე უნგრელ **პეტრა ფარაგოზე** იყარა – ვაზარი და იპონი. მთლიანობაში, სომხიშვილმა ყველა მოგებულ შეხვედრაში ილეთები შეასრულა, რაც მისასალმებელი ფაქტია. მან სამი პაექრობა მოიგო და 8 გდება შეასრულა – 3 იპონი და 5 ვაზარი, რაც არათუ მძიმეწონოსნის, არამედ მჩატე წონებისთვისაც კი კარგი მაჩვენებელია.

უმეტესად დარჩა, მაგრამ საკმაოდ კარგად იჭიდავა და ყურადღება მაინც მიიქცია სალომე **ბლიაძემ** (48), ერთ შეხვედრაში მეტოქეს ჰაერში გაუკეთა მტკივნეული ილეთი, რასაც ჩვენი ვაჟებიც კი ვერ ახერხებენ. ასევე საკამოდ დამაჯერებლად იასპარეზა **თინათინ რევაზიშვილმა** (57), იგი მეცხრე ადგილზე გავიდა. ტეპლიცეში ჩვენგან ასევე ჭიდაობდნენ: **მარიამ გულედანი** (48), **მარიამ გურგულიანი**, **ეკატერინე ტატუნაშვილი** (ორივე – 52), **ინდირა სილაგაძე** (63) და **სალომე მაყიშვილი** (+70).

# ამჯერად – მენტორი

რამდენიმე დღის წინ, საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტმა განიხილა ერუდიციის სასწავლო ცენტრის მიერ შემუშავებული პროექტი „ჩვენი მენტორი“ და იმსჯელა მასში წამოჭრილი იდეების სკოლებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში დანერგვაზე. ეს პროექტი განკუთვნილია მოზარდების, ბავშვების, ანუ სასწავლო დაწესებულების კონტინგენტისთვისთვის და არა პროფესიული სპორტისთვის. აღნიშნულმა ცენტრმა გადაწყვიტა, სიახლე შეიტანოს სპორტის საგანმანათლებლო სისტემის გათანამედროვეობაში და, ამ მიზნით, წამოაყენა ზემოაღნიშნული პროექტი, რომლის მიზანია ფიზიკური კულტურის თანამედროვე სტანდარტების შემუშავება-დანერგვა. მათი ინიციატივაა, ეს პროცესი განხორციელდეს სპორტის მენტორთა მეშვეობით, რომლებსაც ცენტრის დირექტორმა, **გიორგი გოგელიამ,** ფიზიკური და მენტალური აღზრდის სპეციალისტები უწოდა.

მისივე განმარტებით, ისინი კონკრეტულად და ინდივიდუალურად მიუდგებიან თითოეულ ბენეფიციარს ან ბენეფიციართა ჯგუფს, გასცემენ რეკომენდაციებს კონკრეტული აღსაზრდელის ფიზიკური მოთხოვნილებებისა და შესაძლებლობის საფუძველზე, დაეხმარებიან მოზარდებს მათი განვითარებისთვის საჭირო ინფორმაციის მოძიებასა და ვარჯიშების დანერგვაში. მენტორი სათანადო კანდიდატს, ასევე, გაუწევს რეკომენდაციას სხვადასხვა სპორტულ და საგანმანათლებლო ორგანიზაციებში, მომდევნო ეტაპზე გადასასვლელად.

საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე **მიხეილ ყაველაშვილი** მიესალმა ამ იდეას და აღიშნა, რომ ამ მიმართულებით ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა, ხელი შეუწყოს ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას და ახალგაზრდებს თამბაქოს, ნარკოტიკებისა და სხვა მავნე ჩვევათა საწინააღმდეგოდ, ეფექტური ალტერნატივა შესთავაზოს, საამისოდ კი აუცილებელია სათანადო განათლების, ცოდნის მიღება, რაც შეიძლება ადრეულ ასაკში, ანუ სკოლის პერიოდიდანვე. *„შესაცვლელია, ამ მიმართულებით, ძველი მიდგომა, სტანდარტები და მეთოდიკა, როგორც მოძველებული, ხოლო ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება კი ერთადერთი გამოსავალია მოზარდების ქუჩის გავლენისა და მავნე ჩვევებისგან ჩამოსაშორებლად“.*

*რუბრიკას უძღვება* **ირაკლი თავაძე**

## მასწავლებლის სამუშაო რვეული



**მასწავლებლის სამუშაო რვეული** პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი

## ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

წიგნში თავმოყრილია დაწყებითი კლასებისთვის აქტუალური სწავლების მეთოდების გამოყენებით შექმნილი გაკვეთილის სცენარები ქართულში, მათემატიკაში და ბუნებაში. სახელმძღვანელო დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლეებს განუვითაროს: წიგნიერების, მედიაწიგნიერების, მათემატიკური წიგნიერებისა და კვლევითი უნარები, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება.

6.50 ლარი

## კათედრის გამგის პორტფოლიო

**კათედრის გამგის პორტფოლიო** საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესასრულებელი სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

## ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

## მასწავლებლის კალენდარი

კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას**. **კალენდარს ახლავს** შესასრულებელი გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

ს ი ა ხ ლ ე

5.50 ლარი

## ცნობარი დაწყებითი კლასების პედაგოგებისათვის

**ცნობარი დაწყებითი კლასების პედაგოგებისთვის** მომზადდა დაწყებითი კლასების მასწავლებლების საჭიროების გათვალისწინებით. მოიცავს: საგნობრივ, თეორიულ მასალას; ცოდნის შესამოწმებელ ტესტებს, რაც საგნობრივი გამოცდისთვის მომზადებაში დაეხმარებათ.

14 ლარი

**წიგნი I**
ძველი ქართული მწერლობა

**წიგნი II**
„ვეფხისტყაოსანი“

**წიგნი III**
XIX საუკუნის მწერლობა

**წიგნი IV**
XX საუკუნის მწერლობა

*თითო ტომის ფასი – 13 ლარი*

## მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე

fb.com/bakursulakauripublishing

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

თითო კრებულის ფასი – 10.90 ლ

## ქართული ენის კრებულები

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

სერიის ფასი – 17.70ლ

## ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია „ნამდვილი და მოგონილი ამბები“ შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40ლ



12 ლარი

**თამაზ ვასაძე**
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი



10 ლარი

**ფიზიკა**
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი, ზ. ბერაია

7 ლარი

**ქართული ენის გრამატიკა**
სინტაქსი (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე

8 ლარი

**ქართული ენის გრამატიკა**
მორფოლოგია (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე



ერთი ტომის ფასი – 9 ლარი

**თემატური ენციკლოპედია „რა არის რა“**

- ქიმია
- მეცნიერებები
- ხალხთა დიდი გადასახლება
- კრიმინალისტიკა
- არქიტექტურა
- ევროპა
- უძველესი ადამიანი
- მეკობრეები
- ჯანსაღი კვება
- ამინდი
- ოლიმპიური თამაშები

10 ლარი

**თამარ ბეროზაშვილი**
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)



4 ლარი

**თამაზ ვასაძე**
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის



10 ლარი

**ბიოლოგია** (II ნაწილი)
ეროვნული გამოცდებისთვის
ლ. ბურდილაძე, ნ. სიხარულიძე, ქ. მაღრაძე, დ. ნაზირიშვილი



9 ლარი

**ისტორია**
საატესტატო გამოცდისთვის
ნ. ახმეტელი, ბ. ლორთქიფანიძე, ნ. მურღულია

**ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:**
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი. შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599880073, 0322958023

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com
**რედაქციის საბანკო რეკვიზიტები:** შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK